განთიადის მუშაკი

№ გამოცემა საქართველოს განათლების მუშაკთა პავშირისა
ტფილისი
1928 10

„განათლების მუშაკის“ გამოცემანი

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდად

1. კედლის თვიური კალენდარი ყველა უქმეებისა და დასასვენებელი დღეების აღნიშვნით. ფასი 30 კ.
2. „ამხანაგი“, მოწაფის კალენდარი, უბის წიგნი და ცნობარი. ფასი 1 მან.

ვინც რედაქციისაგან გამოიწერს 60 კაპ.

3. ტ. ბრიჯეს. კოლუმბი და ამერიკის აღმოჩენა (ახალი ცნობებისა და გამოკვლევების მიხედვით).

ფასი 30 კაპ. ვინც რედაქციისაგან გამოიწერს 20 კაპ.

მზადდება დასაგეზდად

„ლენინი სახალხო განათლების შესახებ“.

ყველა ამ წიგნების შეძენა და გამოწერა შეიძლება რედაქციისაგან. ტფილისი, ფიცრელაძის (ყოფ. კალოუბნის) ქ. № 3.

ს.ს.ს.რ. განათლების სახალხო კომისარიატში

მიიღება ხელისმოწერა

განათლების სახალხო კომისარიატის ყოველთვიურ პედაგოგიურ

ჟურნალზე

„ახალ სკოლისაკენ“

1928 წლისთვის

გადაგზავნით 3 მან., გადაუგზავნელად 2 მან. 50 კ.

იძვე შეიძლება ჟურნალის წინა წლების კომპლექტების შეძენა

1927 წლის ნომერები აღარ იბეჭდება

1926 წლის კომპლექტი ღირს . . . . . 3 მან.
1924—25 წლის კომპლექტი ღირს . . . . . 2 მან.

რედაქციის მისამართი

ტფილისი. რუსთაველის პრ. 31, განათლების სახალხო კომისარიატი.

„ახალ სკოლისაკენ“.



ქართლელთაოემო ყველა ძალისა, შეერთდით!

წითელი არმიის ათი წლისთავისათვის

პროლეტარიატის დიქტატურის ორგანო
რედაქციის მისამართი:
ტფილისი, ვერცხლაძის ქუჩა №3.
განათლების მუშაკთა
ცენტრალური სახლი

№ 10 თებერვლის 15 № 10

5 220

23 თებერვალს სრულდება წითელ არმიის არსებობის ათი წლის და განათლების კავშირის წითელ არმიელებზე შეფობის ხუთი წლის თავი. მიუხედავად იმისა, რომ განათლების მუშაკთა კავშირის მიერ ჩატარებული საშეფო მუშაობის შესახებ არ მოგვეპოვება სრული ცნობები, მაინც შეგვიძლია აღვნიშნოთ ერთგვარი მიღწევები ამ დარგში. განათლების მუშაკთა კავშირის შეფობის ქვეშ მყოფ წითელ არმიელთა შორის მუშაობას ტფილისში ც. გ. კულტგანყოფილება აწარმოებდა (25/26 წ.) განათლების მუშაკთა სახლის საშუალებით. განათლების მუშაკთა სახლთან შემდგარი იყო კომისია, რომელმაც წინასწარ გამოიმუშავა წითელ-არმიელთა შორის კულტ მუშაობის გეგმა. ამ გეგმის მიხედვით წითელ-არმიელთა ნაწილების პოლიტ-ხელმძღვანელთათვის მოწყობი-

წითელ არმიის ათი წლისთავისათვის

ჩვენი მუშურ-გლეხური წითელი არმია სამაგალითო და ერთად-ერთი არმიაა მთელ დედაწიწის ზურგზე თავისი ამხანაგური დისციპლინით, ბრძოლის უნარიანობით და კლასობრივი შეგნებით. 1918 წლის თებერვლის 23 გამოიცა დეკრეტი წითელი არმიის მოწყობის შესახებ. მანამდე კი არსებობდა წითელი გვარდია, რომელიც შესდგებოდა მუშების რევოლუციონური რაზმისაგან. ამ რაზმებს არ ჰქონდათ ურთიერთ შორის მტკიცე და განუწყვეტელი კავშირი. არ ჰქონდათ სამხედრო მოთხადება და მოკლებული იყო საერთო ხელმძღვანელობას. ეს შესაძლებელი იყო პირველ ხანებში, სანამ დაბრუნებული მტერი თავის ძალებს თავს მოუყრიდა და დარაზმავდა საბრძოლველად. მაგრამ, როდესაც ცენტრებში განადგურებულმა მტერმა თავის ძალები პერიფერიებში დარაზმა—დონზე, ციმბირში და სხვაგან—და როდესაც მსოფლიო კაპიტალმა უხვად მიაწოდა მას ჯარი, იარაღი და ფული—მაშინ უკვე აუცილებელი გახდა რეგულიარული ჯარი, ე. ი. კარგად მოწყობილი, კარგად შეიარაღებული და გაწაფული მუდმივი სამხედრო ძალა. ასე წარმოიშვა 23 თებერვლის დეკრეტით ჩვენი წითელი არმია. რომლითაც სამართლიანად ამაყობს მთელი საბჭოთა კავშირი. წითელმა არმიამ საშინელ პირობებში უმაგალითო გმირობით გაანადგურა კოლჩაკი, დენიკინი, იუდენიჩი, ვრანგელი, დაუკარგა ინტერვენციის ყოველგვარი ხალისი კაპიტალისტურ სახელმწიფოებს და მტკიცედ სდგას საბჭოთა კავშირის სადარაჯოზე.

Академия наук

ლი იყო საექსკურსიო სემინარები. ექსკურსიები იმართებოდა წინასწარ შემუშავებული გეგმით და ექსკურსიის შემდეგ შეგროვილი მასალა მუშავდებოდა ექსკურსანტების საერთო კრებაზე. ამ სემინარებში მოსმენილი იყო რამდენიმე მოხსენება საექსკურსიო მუშაობის მეთოდების და შინაარსის შესახებ. მოწყობილი იყო რამოდენიმე ექსკურსია ქ. ტფილისში და მის მიდამოებში (ზემოავჭალა).

განათლების კავშირმა სისტემატიურად კულტმუშაობის საწარმოებლად ტერიტორიალურ ნაწილებში დაუზავნა 17 ხელმძღვანელი პოლიტ-განის საშუალებით. ამას გარდა წითელ-არმიელთა ნაწილებში ყოველთვიურად იკითხებოდა 8 ლექცია სხვადასხვა თემებზე.

ქ. ტფილისში წითელ-არმიის სამმართველომ გახსნა 1925 წელს, ზაფხულში, საბავშო მოედანი წითელ არმიელების შვილებისათვის. ეს მოედანი სამსახურს უწევდა წითელ არმიელთა 60-მდე ბავშს. განათლების კავშირმა ამ საბავშო მოედანს კულტ-შეფობის წესით მისცა ორი ხელმძღვანელი. 26/27 წლის განმავლობაში წითელ არმიელთა ნაწილებში იგზავნებოდა გამოცდილი მასწავლებლები წერა-კითხვის უცოდინარობის დ მცირეძცოდნეობის სალიკვიდაციოდ. წერა-კითხვა შეისწავლა 275 წითელ-არმიელმა.

წითელ არმიელთა და ფლოტის სახლში განათლების კავშირმა მოაწყო საწრეო მუშაობა პოლიტ-ხელმძღვანელთათვის. შესდგა სულ 26 მეცადინეობა და გატარდა სულ 1162 წითელ არმიელი.

შვებულებაში მიმავალ წითელ არმიელთათვის 1927 წ. მოეწყო მოკლევადიანი კურსები, სამეურნეო განხრით. ამ კურსებმა დიდი სარგებლობა მოუტანა სოფლებში მიმავალ წითელ არმიელებს.

ამას გარდა დრო გამოშვებით იმართება წითელ არმიელთათვის პოპულიარული მოხსენებები. განათლების მუშაკთა ც. სახლში გამართულ კონცერტებზე, კინო ლექციებზე, კინო სეანსებზე და პოპულიარულ მოხსენებებზე ესწრებიან წითელ არმიელები. ბოლო ხანებში საშეფო მუშაობა გადატანილია ადგილკომებში. ქალ. ტფილისში მე 41, 4, 55 და 46 ადგილკომები უკვე შეუდგნენ საშეფო მუშაობას. მაგალითად, მე-46 ადგილკომმა გააბა კავშირი ქართულ საარტილერიო ლეგიონთან, შეიმუშავა ლეგიონის წარმომადგენელთან ერთად სამუშაო გეგმა, გამოუწერა ლეგიონს ჟურნალ-გაზეთები, ჩაატარა ორი მოხსენება და მოუწყო მათ ექსკურსია სამხეცეში 120 წითელ არმიელების მონაწილეობით. ასეთივე მუშაობას ეწევა დაახლოებით სხვა ადგილკომებიც. საშეფო მუშაობა წითელ არმიელთა შორის სწარმოებს აგრეთვე ქ. ქუთაისში, ოზურგეთში, გორში, აფხაზეთში, ბათომში და სხვ. მაზრებში ჩაბმულია სისტემატიური საშეფო მუშაობაში სულ 60-მდე განათლების მუშაკი.

თანამედროვე მომენტში, როდესაც ომიანობის საკითხი რეალურ საფრთხეს წარმოადგენს, ჩვენი მთავარი მიზანი უნდა იყოს წითელ არმიელთა შორის კულტმუშაობის გაძლიერება, ჩვენ, ჯერ კიდევ ამ მუშაობის დარგში არ შეგვძლია დავიქადოთ. საჭიროა საშეფო კომისიებმა გააცხოველონ გეგმიანი მუშაობა და მისი აღრიცხვა. ადგილკომებმა, სადაც კი ეს შესაძლებელია, გააჩაღონ სა-

შეფო მუშაობა წითელ არმიელთა ნაწილებში და გამოიყენონ წითელ არმიელები განათლების მუშაკთა გასამხედროების მიზნით: სამხედრო კურსების და ტირის მოწყობა, მსროლელთა წრის შედგენა, მათ შორის სამხედრო ცოდნის გავრცელება და სხვა. ყველა ზემო აღნიშნულ საკითხებს უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება, რათა საშეფო მუშაობა წითელ არმიელთა შორის მომავალში სასურველ სიმაღლეზე დავაყენოთ.

თებერვლის 25

საბჭოთა საქართველო ზეიმით ეგებება შვიდი წლისთავს. თუ ორი-სამი წლის წინედ ვიტყოდით: საბჭოთა საქართველოს მუშები და გლეხები დღესასწაულობენ თებერვლის 25-სო, დღეს მათ რიცხვში ეხედავთ ჩვენი ერის ყველა სასიცოცხლო ძალებს და ამიტომ ვამბობთ საბჭოთა საქართველოზე მთლიანად. განსაკუთრებით საყურადღებო და მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ჩვენმა ინტელიგენციამ გადალახა შეურიგებლობის ზღვარი და დღეს ისიც მუშებთან და გლეხებთან ერთად ეწევა სოციალისტურ აღმშენებლობას. მასწავლებლები, აგრონომები, ექიმები, ინჟინერები და პროფესორები—ყველანი ერთგულად მუშაობენ საბჭოთა საქართველოს საკეთილდღეოდ, მის ეკონომიურ და კულტურულ ასაღორძინებლად. ჩვენი მწერლები, მხატვრები, კომპოზიტორები და არტისტები გულწრფელად ემსახურებიან ქართულ ეროვნულ კულტურას და ამ დარგში მართლაც რომ საამაყო მიღწევები გვაქვს. მაგ., ოქტომბრის 10 წლისთავზე მოსკოვში გამართულ გამოფენაზე, სადაც წარმოდგენილი იყო საბჭოთა კავშირში შემავალ ყველა ერების მიღწევები ხელოვნებაში—აი ამ არა ჩვეულებრივ მრავალფეროვან გამოფენაზე პირველი ადგილი საბჭოთა საქართველომ დაიჭირა—მნახველთა ყურადღების ცენტრი ქართველ მხატვართა სურათებმა მიიპყრო. ამაზე ბევრი დაიწერა რუსულ ჟურნალ-გაზეთებში და ქებით იხსენიებდენ ჩვენ მხატვრებს.

დიდია მიღწევები სახ. განათ. დარგშიც. თუ მენშევიკების დროს განათ. იხარჯებოდა 5,3 % სახ. ბიუჯეტისა—დღეს იხარჯება 35 %. 1919/20 წ. იყო 1663 სკოლა 176,599 მოსწავლით და 5.681 მასწავლებ. 1926/27 წ. კი გვაქვს—2.079 სკოლა 283.881 მოსწავლით და 10.560 მასწავლებ. თავი რომ გავანებოთ ხარისხობრივ გაუმჯობესებას (სკოლების პროფესიონალიზაცია და ცხოვრებასთან დაახლოება), —ეს რაოდენობითი წარმატებაც ცხადყოფს ჩვენ მიღწევებს.

ჩვენ არაფერს ვამბობთ საბჭოთა ხელისუფლების მიღწევებზე ეკონომიურ დარგში. უდიდესი ჰიდრო-ელექტრო-სადგურები და ჩვენი ნედლეულობის დასამუშავებელი ქარხნები — მაუდის, აბრეშუმის, ქაღალდის და სხ. ჩვენ თვალწინ აშენდა ან შენდება. ამაზე ოცნებობაც არ შეიძლებოდა არც თვითმპყრობელობისა და არც მენშევიკების დროს. ყოველივე ეს შესაძლებელი გახდა მხოლოდ გასაბჭოების შემდეგ. აღორძინება ეკონომიური, აღორძინება ეროვნულ-კულტურული—აი რა მოჰყვა თებერვლის 25-ს. თუ უკასკნელ დრომდი ბევრს არ სჯეროდა ეს და გულწრფელად ჰფიქრობდენ, რომ გასაბჭოება ეროვნული უბედუ-

რება იყო საქართველოსათვის, — ეხლა, როცა ხედავენ ამ უდიდეს მიღწევებს ყოველ დარგში, როცა რწმუნდებიან, რომ ყოველივე ეს წარმოუდგენელი იყო სხვა წესწყობილების დროს,—ისეთივე გულწრფილობით მოდიან, მუშაობენ ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

სამწუხაროდ დღემდის დარჩა ჩვენში თითო-ოროლა გაუსწორებელი და შეურიგებელი. ჩვენ ყვ ლამ ვიცით ესენი. ისინი ვერაფერს ხედავენ, არაფერი სჯერათ. ესენია პარტულობით დაავადმყოფებული პირები. ჩვენს წრეშიაც, განათლების მუშაკთა შორისაც. არიან, სამწუხაროდ, ასეთები. მათზე შეიძლება არც კი ღირდეს ლაპარაკი, ვინაიდან არავითარ ძალას არ წარმოადგენენ, მაგრამ ჩვენ მაინც ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია მოვუწოდოთ ამ ამხანაგებს და ვუთხრათ: თავი გაანაბეთ ჟინიანობას, მიუდგომლად შეაფასეთ მდგომარეობა, გამოიჩინეთ იმდენი შეგნება და მოქალაქობრივი გამბედავობა, რომ სცნოთ საკუთარი შეცდომა. შვიდი წლის თავზე მაინც დაინახეთ.

ოქტომბრით დაიწყო ახალი ერა კაცობრობის ისტორიაში და ამ დიდ საქმეში საბჭოთა საქართველოც ჩაება ამ შვიდი წლის წინედ, ისიც მოწინავე რაზმებშია მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის საგუშაგოზე.

ვიამაყოთ ამით და უფრო მეტი ენერგიით გავსწიოთ წინ კაცობრიობის უმაღლეს იდეალის—კომუნიზმისაკენ.

ნ. ჯეიშვილი.

სოფლის მეურნეობის განმტკიცების სესხი და განათლების მუშაკნი

მიმდინარე წლის თებერვლიდან დაიწყო ხელის მოწერა სასოფლო-მეურნეობის განმამტკიცებელ მოხგებიან სესხზე. საგლეხო სესხის რეალიზაციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სასოფლო მეურნეობის გაუმჯობესებისათვის. სესხის რეალიზაციისაგან დაგროვილი თანხა მთლიანად მთავრდება უმთავრესად სასოფლო მეურნეობის მექანიზაციას, ამ თანხის 10 პროც. კი დარჩება ადგილობრივ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად—სკოლების და საავადმყოფოების აგება, გზების გაყვანა-შეკეთება და სხვა.

საგლეხო სესხის რეალიზაციის საკითხი უნდა გახდეს ყველა ორგანიზაციების აქტუალურ, დამკვრელ საკითხად. არ უნდა დარჩეს არც ერთი გლეხი, რომ არ გაიგოს სესხის რეალიზაციის მნიშვნელობა. განათლების მუშაკთა მასამ, რომელიც გამობრძმედილია საზოგადოებრივ მუშაობაში სოფლად, უდიდესი როლი უნდა ითამაშოს საგლეხო სესხის რეალიზაციის საქმეში. განათლების მუშაკთა საზოგადოებრივ აზრს უნდა გაუკეთოდ მობილიზაცია ამ საკითხის ირგვლივ. საერთო და სადელეგატო კრებები, კონფერენციები და პლენუმები უნდა იქნენ გამოყენებული სესხის შესახებ მოხსენებისათვის.

მასწავლებელნი, ქოხსამკითხველოების გამგეები, ბიბლიოთეკებში მომუშავენი, კლუბების და განათლების კუთხეების აქტივი, აი მთავარი კულტურული ძალა, რომელმაც უდიდესი გამჭრიახობა და ენერგია უნდა გამოიჩინოს გლეხობის ფართე ფენების დაინტერესებისათვის სესხის რეალიზაციით.

ადგილობრივ ორგანიზაციებთან შეთანხმებით და მათთან ერთად გეგმიანად უნდა ტარდებოდეს სესხის რეალიზაციის კამპანია.

განათლების მუშაკთა მასამ სოფლად შემდეგი პრაქტიკული ღონისძიებანი უნდა ჩაატაროს საგლეხო სესხის რეალიზაციის მიზნით: ა) არ უნდა დარჩეს არც ერთი განათლების მუშაკი, რომელმაც არ შეიძინოს საგლეხო სესხის ობლიგაცია—ეს საუკეთესო აგიტაცია იქნება გლეხობისათვის; ბ) ქოხსამკითხველოებში, გლეხის სახლებში, კლუბებში, სასოფლო კრებებზე ავტორიტეტის მქონე განათლების მუშაკებმა უნდა ჩაატარონ პოპულიარული მოხსენებები სესხის მნიშვნელობის შესახებ; გ) უნდა მოეწყოს კითხვა-პასუხის საღამოები, გაზეთების ხმამაღლა კითხვა; დ) ფართედ უნდა იქნეს გამოყენებული აგრეთვე კედლის გაზეთი სესხის რეალიზაციის მსცლელობის გასაშუქებლად (მნიშვნელობა ექნება ხელის მომწერთა სიის კედლის გაზეთში მოთავსებას და სხვა), ე) მოწაფეებთან საგლეხო სესხის რეალიზაციის მნიშვნელობის შესახებ საუბრების მოწყობა, კინოს, რადიოს გამოყენება და სხვა. (ამ საკითხის შესახებ იხილეთ ჟურნალი „განათლების მუშაკი“ № 9).

საგლეხო სესხის რეალიზაციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ეკონომიურ დარგში, მას აქვს პოლიტიკური და კულტურული მნიშვნელობაც. ცხადია, რომ დაქუცმაცებული სასოფლო მეურნეობა მთავარი ხელშემშლელი ფაქტორია მისი განვითარებისათვის. საჭიროა, დაუყონებლივ გადასვლა კოლექტიურ მიწათსარგებლობის ფორმებზე, სადაც შეიძლება გამოყენებულ იქნას გაუმჯობესებული მანქანები. ყოველივე ეს კი გააუმჯობესებს გლეხის მეურნეობას და მისცემს მას კოლექტივისებურ შეჩვევებს. სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის მიზნით ხელისუფლებას განზრახული აქვს ხუთი წლის განმავლობაში დააბანდოს ამ საქმეზე $1^1/_2$ მილიარდი მან. მაგრამ ეს თანხა სესხის სახით ნაწილობრივ უნდა გაიღოს გლეხობამ, ვინაიდან უპირველეს ყოვლისა ისინი ისარგებლებენ სასოფლო-მეურნეობის კეთილ-მოწყობილობით. ამგვარად, სესხის რეალიზაცია ნიშნავს ეკონომიურ შესაძლებლობის შექმნას სასოფლო მეურნეობის მაშინიზაციისათვის.

ამას გარდა სესხის რეალიზაცია აშკარა მაჩვენებელი იქნება ღატაკ და საშუალო გლეხების დამოკიდებულებისა საბჭოთა ხელისუფლებისადმი. ამ მხრივ მას აქვს პოლიტიკური მნიშვნელობაც. მთელი რიგი მუშაობისა, რომელიც უნდა იქნეს ჩატარებული სამი თვის განმავლობაში მშრომელ გლეხობის ფართე მასებში, ცხადია, გაათვითცნობიერებს და ასწევს მათ კულტურულ დონეს.

ამიტომაც საგლეხო სესხის წარმატებით რეალიზაციისადმი უნდა იყოს გამახვილებული ჩვენი ყურადღება.

საკავშირო ორგანოებმა დროგამოშვებით უნდა მიაწოდოს ჟურნალ—„განათლების მუშაკს“ ცნობები სესხის რეალიზაციაში განათლების მუშაკთა მონაწილეობის შესახებ.

დარწმუნებული უნდა ვიყვეთ, რომ განათლების მუშაკთა ფართე მასები საგლეხო სესხის რეალიზაციის საქმეში უდიდეს როლს ითამაშებენ. ისინი თავიანთ მაგალითით და სესხის მნიშვნელობის პოპულიარიზაციით დიდად შეუწყობენ ხელს საგლეხო სესხის წარმატებით რეალიზაციას.

გამოვიდა და იყიდება

„მასწავლებლის კალენდარი“

ფასი ერთი მანეთი

„განათლების მუშაკის“ ხელისმომწერლებს, რომელინც პირდაპირ რედაქციიდან გამოიწერენ ან შეიძენენ „მასწავ. კალენდარი“ დაეთმობათ და გაეგზავნებათ რედ. ხარჯით **60 კაპიკად.**

მოკლე შინაარსი: 1—1928 სასწ. წლის კალენდარი; 2—დღიური შენიშვნების ჩასაწერად; 3—უბის წიგნი; **ცნობარი:** 4—მშრომელთა საერთაშორისო ორგანიზაციები (კომინტერნი, პროფინტერნი, კომპარტია და სხ.); 5—განათ. მუშაკთა წესდებიდან; 6—გან მუშ. კავშირის წევრების რაოდენობა მაზრობრივ; 7—სწავლა განათლ. საქმე საბჭ. საქ. 1926/27 წ. (სტატ. ცნობები);

განათლ. მუშ. უფლებრ. და მატ. მდგომარეობა: 8—განსაკუთრებული შეღავათები განათ. მუშაკებს; 9—სოც. დაზღვევა და პენსიები; 10—შრომის გმირების შესახებ (საკავშირო მთავრობის დადგენილება); 11—საკავშირო პროფსაბჭოს ინსტრუქცია შრ. გმირობის წოდების მიღების შესახებ. **სსრკ. ადმინის ტრატიული დაყოფა.**

საქ. მეცნიერების მუშაკთა 1-ლი კონფერენცია.

იანვრის 28, საღამოს 6 საათზე, განათლების მუშაკთა სახლის დიდ დარბაზში გაიხსნა საქართველოს მეცნიერების მუშაკთა პირველი რესპუბლიკანური კონფერენცია, რომელსაც 80-ძდე დელეგატი დაესწრო. ასეთ მრავალრიცხოვანი კონფერენციის შეკრების ფაქტმა აშკარად დაამტკიცა, რომ ჩვენი მეცნიერები თანდათან ებმიან საზოგადოებრივ და პროფკავშირულ მუშაობაში, რის გარეშეც წარმოუდგენელია ჩვენი მეცნიერების და ფართო საზოგადოებრივობის შეთანხმებული და ნაყოფიერი მუშაობა.

სხდომა გახსნა ამხ. გეგენავამ, რომელმაც თავის მისასალმებელ სიტყვაში აღნიშნა მეცნიერების მუშაკთა შორის მომხდარი გარდატეხა, მათში გაღვიძებული ინტერესი პროფ-მუშაობისადმი და ამ მოვლენის დიდი დადებითი მნიშვნელობა ჩვენი საერთო მუშაობისათვის.

საზეიმო მისალმებების შემდეგ, რომელმაც პირველი დღის მთელი საღამო დაიჭირა, კონფერენცია მეორე დღის დილიდან შეუდგა საქმიან სხდომებს. ამ სხდომებზე კონფერენციამ მოისმინა მეცნ. მუშაკთა სრულიად საკავშირო სექციის პასუხისმგებელი მდივნის ამხ. ლუპოლის, საქართველოს სექციის ბიუროს თავმჯდომარის პროფ. გ. ახვლედიანის და განათლ. სახ. კომისრის ამხ. დ. კანდელაკის მოხსენებანი.

ამხ. ლუპოლის მოხსენება საკავშირო სექციის ცენტრ. ბიუროს მუშაობის შესახებ.

მეცნიერების მუშაკთა სექცია ამ ჟამად აერთიანებს მთელ საბჭოთა კავშირში დაახლოებით 15.000 მეცნიერების მუშაკს განათლების მუშ. კავშირის წევრთ და აღრიცხული ჰყავს 8000-დე მეცნიერი—სხვა კავშირის წევრი. მუშაობა რომელსაც აწარმოებს ცენტრალური ბიურო, მრავალ მხრივი და ფრიად მნიშვნელოვანია. უკანასკნელმა წლებმა ნათლად დაგვიმტკიცეს თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მეცნიერთათვის პროფკავშირების რიგებში დარაზმვას და საზოგადოებრივი მუშაობის წარმოებას. საჭიროა თვით მეცნ. მუშაკებმაც ნათლად შეიგნონ მათი პროფკავშირული ორგანიზაციის საჭიროება და აქტიური მონაწილეობაც მიიღონ, როგორც საერთოდ პროფკავშირების, ისე კერძოთ თავიანთ სექციების მუშაობაში.

ამ ჟამად ჩვენს წინაშე მრავალი საჭირბოროტო ამოცანა სდგას. მაგრამ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ჩვენთვის დაგეგმვა და შეთანხმებულად წარმოება სამეცნიერო-საკვლევო მუშაობისა, რომელიც საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე სწარმოებს. ასეთი დაგეგმვა და წინასწარი შეთანხმება შეიძლე-

ბა ჩატარებული იქნეს ცალკე საკითხებზე ყრილობების და კონფერენციების მოწვევის და საგანგებო ორგანოს მოწყობის გზით, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევს მთელს მუშაობას.

სატარიფო-საეკონომიო მუშაობის დარგში საკმაოდ დიდი მიღწევები გვაქვს. მაგრამ აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ასეთი მუშაობა დაკავშირებულია ცალკე რესპუბლიკათა განათლების სახ. კომისარიატებთან და ამ რესპუბლიკების ფარგლებს არ სცილდება. ეს ჩვენ არ მიგვაჩნია ნორმალურ მდგომარეობად, რადგანაც იწვევს დიდ სხვადასხვაობას მეცნიერების მუშაკთა შრომის ხელფასის მოწესრიგების დარგში. მთავარი ჩვენი ამოცანაა ამ მხრივ მტკიცე საშტატო-საჯამაგირო სისტემაზე გადასვლა. ასეთი სისტემა სრულად არც ერთს მოკავშირე რესპუბლიკაში არ არის ჯერ გატარებული, ხოლო ყველაზე უფრო მას დაუახლოვდენ ბელორუსიაში, უკრაინაში და ადერბაიჯანში.

მოხსენების შემდეგ შემოსულ მრავალ შეკითხვებზე მომხსენებელმა ამომწურავი პასუხი გასცა. თავის საბოლოო სიტყვაში მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მეცნ. მუშაკთა სექციის ცენტრ. ბიუროს სრულიად არ აქვს წარმოდგენილი ადმინისტრატიულ ცენტრად ის ორგანო, რომელმაც, მისი აზრით, ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს ჩვენს კავშირში წარმოებულ სამეცნიერო-საკვლევო მუშაობის დაგეგმვას და წინასწარ შეთანხმებას. ცენტრ. ბიუროს ეს საკითხი არც გადაუჭრია საბოლოოდ. ის ეკითხება ამ საქმის შესახებ რესპუბლიკანურ ბიუროებს და საბოლოო გადაწყვეტილებაც ამ ბიუროთა სურვილებისა და შეხედულების მიხედვით იქნება მიღებული.

საქართველოს მეცნიერების მუშაკთა სექციის ბიუროს თავმჯდომარის პროფ. გ. ახვლედიანის საანგარიშო მოხსენება.

თავის სიტყვაში ამხ. ახვლედიანი აღნიშნავს იმ დიად მნიშვნელობას, რომელიც საქართველოს მეცნიერთა პირველ ყრილობას აქვს. წინადაც ყოფილა ცალკე დარგის მეცნიერულ მუშაკთა კრებები, მაგრამ ასეთი ფართო ყრილობა საქართველოს მეცნიერული ძალებისა ჩვენში პირველად ხდება. ეს იმის მომასწავებელია, რომ ჩვენმა მეცნიერებმა შეიგნეს კარჩაკეტილობის მავნებლობა მაშინ, როცა გარშემო გაცხოველებული საზოგადოებრივი და სამეურნეო მუშაობა სდუღს.

საქართველოში, ამხ. ახვლედიანის მოხსენების მიხედვით, მეცნ. მუშაკთა სექციაში 358 მეცნ. მუშაკი ირიცხება, აღრიცხვაზე აყვანილებთან ერთად მათი რიცხვი 400-მდე აღწევს. ეროვნებით უმრავლესობას ქართველები შეადგენენ (63 პროც.), შემდეგ რუსები, სომხები და სხვა ეროვნების წარმომადგენელნი.

მთავარი მიზეზი, რომლის გამოც, მომხსენებლის აზრით, საქართველოს მეცნიერები ვერ იღებდენ მონაწილეობას სექციის მუშაობაში, მათი მეტისმეტად დატვირთვაში მდგომარეობდა. ეს კი, თავის მხრივ, დამოკიდებული იყო შრომის ხელფასის სიმცირეზე. მეცნიერი იძულებული იყო ეძებნა ხელმეტი სამუშაო,

რომ ამით როგორმე უზრუნველეყო არსებობა. გარდა ამისა, მეცნიერების მუშაკები უფრო მეტად ეტანებოდენ თავიანთ კაბინეტებში შრომას, ვიდრე პროფკავშირებში მუშაობას. ამ მხრივ დღეს ჩვენ ცხადათ ვამჩნევთ მათში გარდატეხას, და ეს მრავალ რიცხოვანი ყრილობაც ამის დამამტკიცებელია. დღეს ჩვენი მეცნიერები გაცილებით უფრო მეტს ყურადღებას მიაქცევენ სასექციო და პროფესიულ მუშაობას და მეტს მონაწილეობასაც იღებენ მათში.

საქართველოს მეცნიერების მუშაკის შრომის ხელფასი ძალზე ჩამორჩენილია სხვა რესპუბლიკათა მეცნიერების ხელფასზე. პროფესორი 6 საათისთვის იღებს 110 მანეთს, მაშინ როცა ადერბაიჯანში მაგალ., ასეთ განაკვეთისათვის პროფესორი 225 მანეთს ღებულობს.

განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაშია სამეცნიერო დაწესებულებათა მეცნ. თანამშრომლების ხელფასის საქმე. ხელფასის მუშაობის საკითხი დაძრულია მკვდარი წერტილიდან და იმედიც არის, რომ ახლო მომავალში ის სასურველად იქნება გადაწყვეტილი.

კულტურული მუშაობა, რომელსაც სექციის ბიურო აწარმოებდა, საკმაო ფართო ხასიათის იყო. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ასეთ მუშაობას სექციის ბიურო მხოლოდ მშრომელთა ფართო მასებში ეწეოდა. თავისიანებში კი, ე. ი. სექციის წევრებს შორის კულტმუშაობას თითქმის არ ჰქონდა ადგილი. ამის მიზეზი, სხვათა შორის, ისიც იყო, რომ სექციას არ მოეპოვება „მეცნიერის სახლი", სადაც შეიძლებოდა სექციის წევრთა შორის ფართო კულტურული მუშაობის გაჩაღება. ასეთი სახლის მოწყობა აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ჩვენთვის და მომავალმა ბიურომ ენერგიული ზომები უნდა მიიღოს მის განსახორციელებლად.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც მრავალმა დელეგატმა მიიღო მონაწილეობა. მოკამათეები უმთავრესად ეხებოდენ შრომის ხელფასის მომატების და მეცნიერების მუშაკთა უფლებრივი მდგომარეობის საკითხებს. ისინი აღნიშნავდენ სექციის მუშაობის გამოკლებას და ბიუროს მუშაობის სხვა დადებით მხარეებს, მაგრამ საჭიროდ მიაჩნდათ მეტის ენერგიით ყოფილიყო წარმოებული მუშაობა სასექციო ხაზის ყველა მიმართულებით.

განათლების სახ. კომისრის ამხ. დავით კანდელაკის მოხსენება საქართველოში სახალხო განათლების საქმის მდგომარეობის შესახებ.

მესამე დღეს დილის სხდომაზე სახალხო განათლების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. დ. კანდელაკმა.

მეცნიერების მუშაკთა პირველი ყრილობა,—ამბობს ამხ. კანდელაკი, მეტად მნიშვნელოვანია და კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ საქართველოს მეცნიერების მუშაკნი მზად არიან აქტიური მონაწილეობა მიიღონ სოციალისტურ მშენებლობაში.

ჩვენი სახალხო განათლების ზრდამ, ხელოვნების სხვადასხვა დარგის წარმატებამ, სამეცნიერო დაწესებულებათა გამრავლებამ აშკარა გახადა ყველასა-

თვის, რომ საბჭოთა ხელისუფლების ეროვნული პოლიტიკა მიზნად ისახავს ეროვნული კულტურის განვითარებას. აქ შეკრებილმა მეცნიერთა ყრილობამ პრაქტიკულად უნდა დაამუშაოს ის საკითხები, რომელსაც დღის წესრიგში აყენებს ჩვენი ქვეყნის კულტურული და ეკონომიური განვითარების საჭიროება.

ერთს ასეთს მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს სამეცნიერო კავშირის მოგვარება საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებთან, რომელთა სამეურნეო განვითარებას საფუძვლად უდევს ერთი მთლიანი გეგმა; ეს გეგმა გულისხმობს ცალკე რესპუბლიკების სამეურნეო პოლიტიკის შეთანხმებას და მტკიცე ეკონომიურ კავშირს ამ რესპუბლიკათა შორის. რამდენადაც სამეცნიერო დაწესებულებების მუშაობა მჭიდროდ არის დაკავშირებული სამეურნეო ორგანიზაციების პრაქტიკულ საქმიანობასთან, იმდენად აუცილებელი ხდება ცალკე რესპუბლიკების სამეცნიერო დაწესებულებებს შორის მტკიცე კონტაქტის დაწესება იმ ამოცანების გადასაწყვეტად, რომელნიც ყველა რესპუბლიკებისათვის საერთო ხასიათის არიან. ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ საკავშირო მაშტაბით შეიქნეს განათლების კომისარიატის ცენტრი—ადმინისტრატიული ორგანო, რომელიც შებორკავს ეროვნულ სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაობას და ჩაახრჩობს მათ ინიციატივას. თვით ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და კულტურული განვითარების ინტერესები მოითხოვს, რომ სამეცნიერო ურთიერთობას საბჭოთა რესპუბლიკებს შორის გეგმიანი ხასიათს მიეცეს.

შემდეგ მომხსენებელი გადადის ჩვენი უმაღლესი განათლების სხვადასხვა საკითხებზე და ცალ-ცალკე იხილავს სამეცნიერო დაწესებულებათა მდგომარეობას და მათში წარმოებულ მუშაობას (სატერმინოლოგიო კომისია, მუზეუმები, ობსერვატორია, სახელმწიფო წიგნთსაცავი, ცენტრარქივი და სხვ.). მომხსენებელი აღნიშნავს აგრეთვე უმაღლეს სასწავლებელთათვის სამეცნიერო ლიტერატურის გამოცემის მოუგვარებლობას. ის საჭიროდ სთვლის ეთხოვოს სახალხო კომისართა საბჭოს შექმნას განსაზღვრული საგამომცემლო ფონდი, რომელიც საფუძვლად დაედება უმაღლეს სასწავლებელთა სახელმძღვანელოების, სამეცნიერო დამხმარე წიგნების და მეცნიერული შრომების გამოცემას.

ამხ. დ. კანდელაკის მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი, რომელიც უმთავრესად შეეხო სამეცნიერო ხარისხის მიღების, უმაღლეს სასწავლებლების და სამეურნეო ორგანიზაციების თანამშრომლობის, შრომის ხელფასის და სხვ. საკითხებს.

სხდომის დასასრულს გამოტანილი იქნა სათანადო რეზოლუციები. შემდეგ მოხდა სექციის ახალი ბიუროს არჩევნები. ბიუროში ერთხმად იქნენ არჩეული შემდეგი მეცნ. მუშაკები:

პროფ. გ. ახვლედიანი, პროფ. მ. პოლიევქტოვი, პროფ. შ. ნუცუბიძე, ამხ. ბოლოტნიკოვი, ამხ. ს. იუზბაშიანი, პროფ. ა. მაჭავარიანი, ამხ. ვ. კანდელაკი, ამხ. ს. ხუნდაძე, პროფ. ა. ჯანელიძე, ამხ. გ. კვიცარიძე, ამხ. ზახაროვი. კანდიდატებად: მგალობლიშვილი მ. და ინჟ. ი. ყიფშიძე.

სრულიად საქართველოს მეცნიერების მუშაკთა პირველ კონფერენციის სამანდატო კომისიისაგან.

ცნობა

რადგან აღნიშნულ კონფერენციის სამანდატო კომისიამ, სხვადასხვა ტეხნიკურ დაბრკოლებათა გამო, ვერ მოახერხა თავის დროზე წარედგინა კონფერენციისათვის ანგარიში, და ვინაიდან კონფერენციის უკანასკნელი სხდომის სურვილი იყო, რომ დამუშავებული ყოფილიყო დელეგატების მიერ შევსებული ცნობითი ბარათები (ანკეტები), ჩვენ შევასრულეთ რა კონფერენციის სურვილი, ვაქვეყნებთ შემდეგ ცნობებს კონფერენციაზე წარმოდგენილ დელეგატთა შემადგენლობის შესახებ.

სრულიად საქართველოს მეცნიერების მუშაკთა სექციის პირველ კონფერენციაზე უნდა წარმოდგენილი ყოფილიყო სექციის 358 ნამდვილ წევრთა და აღრიცხვაზე აყვანილ,—მხოლოდ არა განათლების მუშაკთა წევრთა,—52 მეცნიერების მუშაკთა მიერ ყოველ ხუთ წევრზე ერთი დელეგატი. ამის მიხედვით კონფერენციას უნდა დასწრებოდა 82 დელეგატი. ნამდვილად კი დაესწრო მხოლოდ 78 დელეგატი, რომელთაგან 83 დელ. იყო გადამწყვეტი და 5 სათათბირო ხმით. ამათგან: მამაკაცი—76 დელ. და დედაკაცი—2; უპარტიო 67 დელ. და ს.კ.პ. წევრები—11 დელ.; პარტიული სტაჟის მიხედვით იყო: 1903—1, 1904—2, 1917 წ.—2, 1919 წ.—1, 1924 წ.—1, 1925 წ.—1, 1926 წ.—1, 1927 წ.—1 და 1—კანდიდატი. განათლების მუშ. კავშირის წევრი—75 დელ. და სხვა კავშირის წევრი—3 დელ. საერთოდ პროფკავშირის წევრობის სტაჟის მიხედვით იყო: 1915 წ.—1, 1917 წ.—13, 1918 წ.—10, 1919 წ.—5, 1920 წ.—3, 1921 წ.—32, 1922 წ.—1, 1923 წ.—3, 1924 წ—4, 1925 წ.—3, 1927 წ.—2. განათლების მუშ. კავშირის წევრობის სტაჟის მიხედვით იყო: 1918 წ.—1, 1919 წ.—1, 1921 წ.—44, 1922 წ.—4, 1923 წ.—7, 1924 წ.—6, 1925 წ.—7, 1926 წ.—3, 1927 წ.—2 სულ 73 წ. წლოვანების მიხედვით იყო: 25 წლამდე—1. 26—30 წლამდე—11, 31—35—წლამდე—9, 36—40 წლამდე—19, 41—50 წლამდე—28, 51 და უფროსი—10. ტფილისში არსებულ სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებებიდან და პროვინციებიდან იყვნენ: სახელმწ. უნივერსიტეტიდან—45 დელ., სახელ. პოლიტეხნიკური ინსტიტუტიდან—12 დელ., ა-კ. კომუნისტური უნივერსიტეტიდან—6 დელ., ცენტრარქივიდან—3 დელ., გეოფიზ. ობსერვატორიიდან—3 დელ., საქართ. მუზეუმიდან—2 დელ., კავკ. ისტ.-არქ. ინსტიტუტიდან—1 დელ., ზომაწონის პალატიდან—1 დელ., საჯარო ბიბლიოთეკიდან—1 დელ., აჭარისტანიდან—1 დელ. აფხაზეთიდან—1 დელ., სამხრეთ-ოსეთიდან—1 დელ. და ქუთაისიდან—1 დელ. სულ—73 დელეგატი.

კონფ. სამანდატო კომისიის წევრი **რ. მელაძე.**

საქართველოს მეცნიერების მუშაკთა პირველი კონფერენციის რეზოლუციები

(1928 წლის იანვრის 28)

მეცნ. მუშაკთა საკავშირო სექციის ცენტრალურ ბიუროს პასუხისმგებელ მდივნის, ამხ. ლუპოლის მოხსენების გამო.

მოისმინა რა მეცნიერ. მუშაკთა საკავშირო სექციის ბიუროს პასუხისმგებელ მდივნის, ამხ. ი. კ. ლუპოლის მოხსენება და სცნობს რა საკავშირო ბიუროს მუშაობას დამაკმაყოფილებლად და მის გეზს სწორად, საქართველოს მეცნიერ. მუშაკთა პირველი კონფერენცია განსაკუთრებული კმაყოფილებით აღნიშნავს:

1. სექციის მნიშვნელოვნად ზრდას, ყველა რესპუბლიკათა მეცნიერ. მუშაკების მოქცევას მასაში და სასექციო მუშაობის გაღრმავებას.

2. სექციის ხვედრითი წონის მომატებას საბჭოთა საზოგადოებრივობაში.

3. სრულიად საკავშირო ბიუროს კავშირის განმტკიცებას მოკავშირე რესპუბლიკათა ბიუროებთან.

4. სექციის მატერიალური ბაზის განმტკიცებას.

5. მეცნიერების მუშაკთა მატერიალური მდგომარეობის რამოდენიმედ გაუმჯობესებას.

6. მეცნიერ. მუშაკთა საზოგადოებრივი კულტმუშაობის მნიშვნელოვნად გაზრდას, კერძოდ სექციის როლს მუშათა და გლეხთა საღამოს უნივერსიტეტების მოწყობაში და სხვა.

შემდეგისათვის საჭიროა ყურადღება მიექცეს:

1. მუშაობის დასრულებას სექციაში ყველა იმ მეცნიერ. მუშაკთა მოქცევისათვის, ვისაც აქვს სექციაში შესვლის უფლება.

2. სექციის წევრების უფრო მეტად ჩაბმა პროფკავშირულ მუშაობაში და მნიშვნელოვანი სასექციო აქტივის შექმნას.

3. მეცნიერების მუშაკთა შრომის ხელფასის მომატება იმ მოკავშირე რესპუბლიკაში სადაც ის ჩამორჩენილია.

4. საშტატო-საჯამაგირო სისტემაზე გადასასვლელად ზომების მიღებას.

5. მასიური ეკონომიური მუშაობის გაცხოველება უმაღლეს სასწავლებლებში და სამეცნიერო დაწესებულებებში.

6. მეცნიერ. მუშაკთა საზოგადოებრივი კულტმუშაობის შემდგომი განვითარებას და მის აღრიცხვას, აგრეთვე სექციის შიგნით კულტმუშაობის გაფართოვებას.

7. მოკავშირე რესპუბლიკათა მეცნიერების მუშაკთა ჩაბმას სექციის ცენტრალურ ორგანოში აქტიურ თანამშრომლობაში, აგრეთვე ჟურნალ „მეცნიერების მუშაკი“-ს უფრო ფართოდ გავრცელებას.

საქ. მეცნიერ. მუშაკ. სექციის ბიუროს თავმჯდომარის პროფ. ახვლედიანის საანგარიშო მოხსენების გამო.

1. მეცნიერ. მუშაკთა სექციის ბიუროს მუშაობა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ცნობილი იქნეს მნიშვნელოვნად და მისი გეზი სწორად.

2. საჭიროდ იქნეს ცნობილი ყველა მეცნიერების მუშაკთა გამოკვნა და სექციაში მოქცევა.

3. მიღებული იქნეს სათანადო ღონისძიებანი მეცნიერების მუშაკთა პროფაქტივის გასაძლიერებლად.

4. გაძლიერებული იქნეს საწარმოო მუშაობა მეცნიერ. მუშაკთა მასებში საანგარიშო მოხსენებების მოწყობით, საჭალაკო კონფერენციების მოწვევის და სხვა გზით.

5. საჭიროდ ჩაითვალოს მუშაობის გაგრძელება ადგილებთან კავშირის გასამაგრებლად ადგილობრივად კოლექტივების მოწყობით, სადაც ეს შესაძლებელია, და მათი მუშაობის ხელმძღვანელობით.

6. აღიარებს რა მეცნიერ. მუშაკთა სექციის ბიუროს ზოგიერთ მიღწევებს უმაღლეს სასწავლებელთა პედაგოგიური პერსონალის შრომის ხელფასის მომატების საკითხში, კონფერენცია აუცილებელ საჭიროებად სთვლის გაძლიერებული იქნეს მუშაობა პირველ რიგში სამეცნიერო დაწესებულებათა მეცნიერ. თანამშრომლებისათვის შრომის ხელფასის მოსამატებ-

ლად და ყველა მეცნიერების მუშაკთა საშტატო სავალმაგირო სისტემაზე გადასასვლელად შრომის ხელფასის შემდგომ გადიდებასთან ერთად, რისთვისაც უახლოეს ხანაში დაწყებული უნდა იქნეს მოსამზადებელი მუშაობა.

7. საჭიროდ იქნეს მიჩნეული მეცნიერ. მუშაკთა სექციის ბიუროს მონაწილეობის გაძლიერება განათლების სახ. კომისარიატის საბიუჯეტო ორგანოების მუშაობაში და აგრეთვე უმაღლეს სასწავლებლებში და სამეცნიერო დაწესებულებებში.

8. გატარებული იქნეს საჭირო ღონისძიებანი მეცნიერების მუშაკთა უფლებრივი მდგომარეობის მომწესრიგებელი საკანონმდებლო აქტის გამოსაქვეყნებლად საკანონმდებლო წესით.

9. გაძლიერებული იქნეს მუშაობა მეცნიერების მუშაკთათვის სანიტარულ-საკურორტო დახმარების აღმოსაჩენად.

10. აღნიშნავს რა განსაკუთრებით მძიმე საბინაო კრიზისს მეცნიერების მუშაკთა შორის, კონფერენციას საჭიროდ მიაჩნია მიღებული იქნეს ზომები მათი საბინაო უფლების დაცვის და საბინაო კოოპერატიულ მშენებლობის დარგში მეტი ინიციატივის გამოსაჩენად.

11. ადასტურებს რა მეცნიერ. მუშაკთა სექციის ბიუროს მიღწევებს განათლების მუშაკთა და მშრომელთა ფართო მასებში ჩატარებულ კულტურულ მუშაობაში, კონფერენციას აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია გაძლიერებული იქნეს ასეთი მუშაობა აგრეთვე სექციის წევრთა შორის განათლების მუშაკის სახლის გამოყენების გზით და მასთან „მეცნიერების სახლის“ მოწყობისათვის ზომების მიღებით.

12. მიღებული იქნეს ზომები უმაღლეს სასწავლებელთა და სამეცნიერო დაწესებულებათა მეცნიერების მუშაკების აკადემიური პენსიებით უზრუნველყოფის შესახებ კანონპროექტის ცხოვრებაში გატარების დასაჩქარებლად.

13. დამუშავებული იქნეს საკითხი სამეცნიერო დაწესებულებათა მეცნიერ-თანამშრომლების სამუშაო დროის ნორმების შესახებ.

14. მიღებული იქნეს საჭირო ზომები ასპირანტების ინსტიტუტის სამეცნიერო დაწესებულებებზედაც გავრცელების შესახებ და დამუშავებული იქნეს საკითხი ა.-კ. კომუნ. უნივერსიტეტზე იმავე ინსტიტუტის მოწესრიგების შესახებ.

15. განათლების სახ. კომისარიატის წინაშე დასმული იქნეს საკითხი საზღვარგარეთ საკავშირო მივლინებების კომისიის ორგანიზაციის შესახებ.

16. სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად წამოყენებული იქნეს საკითხი მხარეთმცოდნეობის ასოციაციის დაარსების შესახებ.

17. სამეცნიერო ხარისხის დამუშავების დროს მიღებული იქნეს მხედველობაში უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებელთა სპეციალური თავისებურებანი.

განათლების სახ. კომისარის, დ. კანდელაკის მოხსენების გამო.

მოისმინა რა განათლების სახალხო კომისარის, ამხ. დ. კანდელაკის მოხსენება განათლების საქმის მდგომარეობის შესახებ, საქართველოს მეცნიერების მუშაკთა პირველი კონფერენცია აღასტურებს მას მთლიანად და აღნიშნავს შემდეგს:

1. საქართველოს რესპუბლიკაში წარმოებული დიდი სოციალისტური ეკონომიური აღმშენებლობა აუცილებელ საჭიროებად ხდის პირველ რიგში დაყენებული იქნეს, როგორც ჩენს ხალხში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, ყოველ შემთხვევაში პირველ შემდეგი ხუთი წლის აღმშენებლობის პერიოდში, ისე საშუალო განათლების დარგში განათლების სისტემატიური გადახრა სკოლათა სპეციალიზაციის მიმართულებით.

2. თანამედროვე ეკონომიური აღორძინების მძაფრი განვითარება საგრძნობლად უსწრებს წინ კულტურული ძალების გაზრდა-განვითარებას, ხოლო ასეთი მდგომარეობა საბჭოთა ხელისუფლების წინაშე აყენებს კულტურულ რევოლუციის პრობლემას, რათა აღმშენებლობის პროცესი სავსებით უზრუნველყოფილი იქნას შესაფერისი ინტელექტუალური ძალებით.

კონფერენცია, გამოდის რა ამ მდგომარეობიდან, საჭიროდ სცნობს შემდეგს:

ა. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს არსებულ უმაღლეს სასწავლებლებს და არსებულ დარგების ტეხნიკურ მოწყობილობას.

ბ. როგორც საშუალო, ისე უმაღლეს სასწავლებლის პედაგოგიურ პერსონალის მეცნიერულ დონის და მისი განვითარების უზრუნველსაყოფად სასურველად იქნეს მიჩნეული: სახელმძღვანელოების და მეცნიერულ ნაწარმოებთა გამომცემლობის ფართოდ მოწყობა და სპეციალურ და ძირითად ჰუმანიტარულ დისციპლინათა უზრუნველყოფა ასპირანტურის კადრით.

გ. მეცნიერულ მუშაობის გაძლიერების მიზნით აუცილებელ საჭიროებათ იქნას ცნობილი მეცნიერების მუშაკთა ხელფასის სისტემატიურად გადიდება იმ მიმართულებით მაინც, რომ კავშირში არსებულ ხელფასის ნორმა საქართველოს რესპუბლიკაშიც იქნას გავრცელებული.

დ. მეცნიერების მუშაკთა კონფერენცია ხაზგასმით აღნიშნავს სტუდენტობის მდგომარეობას და სთხოვს სახალხო განათლების კომისარიატს განსაკუთრებულ მზრუნველობის ქვეშ დააყენოს სტუდენტთა სტიპენდიის საკითხი.

3. რესპუბლიკაში მეცნიერულ მუშაობის ფართოდ დაყენების მიზნით ყრილობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს საჯარო სამკითხველოს მოწყობის საქმეს და განათლების სახალხო კომისარიატის ნაბიჯები ბიბლიოთეკა-სამკითხველოს მოწყობის დარგში მიზანშეწონილად მიაჩნია.

4. საქართველოს მეცნიერების მუშაკთა ყრილობას არ შეუძლია განსაკუთრებულის სიამოვნებით არ აღნიშნოს, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ იკისრა საქართველოს მუზეუმის საქმის წოგვარება, რისთვისაც საგრძნობ თანხასაც სდებს სამუზეუმო შენობის დაცთავრებისათვის. ყრილობას სასურველად მიაჩნია მხოლოდ სამუზეუმო ღირებულებათა თავის მოყრა რესპუბლიკანურ მუზეუმში.

5. მეცნიერულ მუშაკთა ყრილობას ერთ ძირითად საკითხად მიაჩნია მეცნიერთათვის სამეცნიერო ხარისხების მინიჭების საკითხი. კონფერენციას აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია სახალხო განათლების კომისარიატთან დაარსებულ იქნეს სახელმწიფო უმაღლესი სამეცნიერო საბჭო, სადაც მეცნიერების მუშაკთა ბიუროსთან ერთად ხარისხის საკითხი საბოლოოდ იქნას გადაწყვეტილი.

6. მიღებულ იქნეს ზომები, რომ რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული სამეცნიერო მასალა შეიკრიბოს და მომავალში რაც აღმოჩნდება, სამეცნიერო დაწესებულებაში იქნეს წარდგენილი

ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ

ᲝᲖᲣᲠᲒᲔᲗᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲘᲡ ᲒᲐᲜ. ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐ ᲛᲔ-7 ᲡᲐᲛᲐᲖᲠᲝ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

14 იანვარს ქ. ოზურგეთის მუშათა კლუბში გაიხსნა ოზურგეთის მაზრის გან. მუშ. კავშირის მე-7 კონფერენცია. კონფერენცია გახსნა გან. კავშირის განყ. თავმჯდომარემ ამხ. ჯიბლაძემ. კონფერენციის მიერ დამტკიცებულ იქნა გამგეობის მიერ წარმოდგენილი შემდეგი დღის წესრიგი:

1. ცენტრალური გამგეობის მოხსენება.
2. სამაზრო გამგეობის მოხსენება.
3. სარ. კომისიის მოხსენება.
4. გან. განყ. გამგის მოხსენება.
5. გასამხედროება და მასწავლებლობა.
6. არჩევნები.

კონფერენციამ აირჩია, როგორც საქმიანი ისე საპატიო პრეზიდიუმი.

ცენტრალური გამგეობის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ცენტრ. გამგეობის წარმომადგენელმა ამხ. სოლომონიამ, რომელმაც ფართედ გაუშუქა კონფერენციას ყველა ის მუშაობანი, რომელიც ჩატარებულ იქმნა ც. გამგეობის მიერ საანგარიშო წლის განმავლობაში.



ოზურგეთის მაზრის განათლების მუშაკთა მე-7 საპაზრო კონფერენციის დელეგატები.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი. გამოსული ამხანაგები სიამოვნებით აღნიშნავდენ ყველა იმ მიღწევებს, რომელიც აქვს ჩვენს ცენტრალურ გამგეობას.

კონფერენციამ განსაკუთრებული სიამოვნებით გაუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ უკანასკნელ საანგარიშო წლის განმავლობაში ც. გამგეობის მუშაობას ემჩნევა დიდი გაუმჯობესება, როგორიც არის ცოცხალი კავშირის და საერთოდ სწორი ხელმძღვანელობის გაძლიერება, მოგვარება და გამოსწორება ბევრი ჩამორჩენილი საკითხების, განსაკუთრებით, საორგანიზაციო დარგში, ზრუნვა გან. მუშაკთა უფლებრივ მდგომარეობის დასაცავად, ჟურნალის გამოცემა და სხვა. ამხანაგები სამართლიანად აღნიშნავდენ, რომ ჩვენი განახლებული ჟურნალი დიდ სამსახურს უწევს ჩვენ კავშირის მასას და ფიცს სდებდენ, რომ ისინი შეეცდებიან ყოველ მხრივი დახმარება აღმოუჩინონ ამ ჟურნალს.

ამხანაგები მიუთითებდნენ ცენტრალურ გამგეობას, რომ მეტი მუშაობა იქმნეს ჩატარებული ჟურნალის გასავრცელებლად, ვინაიდან 20.000-ანი კავშირისათვის ჟურნალის ტირაჟი 2000 ძალიან მცირეა და აქედანაც მარტო ოზურგეთის მაზრაში ვრცელდება 500 ცალამდი.

სამაზრო გამგეობის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა განყოფილების თავმჯდომარემ ამხ. ჯიბლაძემ. კონფერენცია სიამოვნებით აღნიშნავდა ყველა იმ მიღწევებს, რომელიც გამგეობას ქონია საანგარიშო წლის განმავლობაში. რის გაკეთება შესძლო ოზურგეთის გამგეობამ საანგარიშო წლის განმავლობაში.

1. მასწავლებელთა თვითგანვითარების დონის ამაღლების მიზნით მაზრაში არსებულ ყველა 7 წლედებთან და 9 წლედებთან მოწყობილი იყო მასწავლებელთა თვითგანვითარების წრეები, რომლებშიდაც გაერთიანებული იყო ახლომახლო მდებარე სკოლების თითქმის ყველა მასწავლებლები. ამ წრეებს სამაზრო გამგეობა უგზავნიდა პროგრამებს და უწევდა ხელმძღვანელობას გამგეობასთან და ადკომებთან არსებული კულტკომისიების საშუალებით.

II. ყველა ადკომებთან და საპროფ. რწმუნებულებთან მოწყობილი ქონდა პატარა წიგნთსაცავები, რომლებიც თანდათან ივსებოდა წრეების საჭირო სახელმძღვანელოებით.

III. ღებულობდა ზომებს თვით შეგნების და დაინტერესების საშუალებით, რათა ჩვენი კავშირის ფართე მასები ჩაება სხვადასხვა საზოგადოებრივ კულტურულ და ეკონომიურ ორგანიზაციებში, რის შედეგად მივიღეთ ის, რომ დღეს ვეღარ ნახავთ ისეთ ორგანიზაციას, რომ იქ არ იყოს ჩვენი მასწავლებლობის ერთგული და გამოცდილი ხელი, რასაც ამტკიცებს შემდეგი ცხრილი.

კოოპერატიების წევრია	რემედასის წევრია	ავიო-ქიმის წევრია	წითელი ჯვრის წევრია	არჩეულია და მუშაობს						
				თემსაბჭოებში	გლეხკომებში	კოოპერატივებში	სას.-სამ. ამხანაგობებში	სამკითხველოების საბჭოებში	რემედასის ჯგუფებში	ავიოქიმის ჯგუფებში
687	484	250	210	120	37	59	52	119	107	76

IV. გამგეობა აწარმოებდა კულტშეფურ მუშაობას ოზურგეთში მდგომ წ. არმიის ნაწილებში, უწერდა მათ ჟურნალ-გაზეთებს, უძენდა ლიტერატურას, ეხმარებოდა სხვადასხვა დღესასწაულების და კამპანიების ჩატარებაში და გარდა ამისა მოწყობილი ქონდა მათში სხვადასხვა წრეები, რომლებზედაც ჰიმაგრებული ყავდა სათანადო ცოდნის მჭონე მასწავლებლები ხელმძღვანელებად.

V. აღებული ქონდა შეფობა სოფელ გურიანთზე და 2 პიონერ კოლექტივებზე, რომელთაც უწევდა სათანადო დახმარებას.

VI. მოწყობილ იქნა ექსკურსია 2 ტფილისში და 1 ადგილობრივი გურნავთის მიდაომოების და სამუშაოების დასათვალიერებლად.

VII. ჩატარებულ იქნა ჟურნალის გავრცელების კამპანია რის შედეგად ოზურგეთში ვრცელდება დღეს 500-მდე ჟურნალი.

VIII. მოწყობილი ქონდა აგარაკ ბახმაროზე დასასვენებელ სახლში სამკითხველო და აქვე დასასვენებლად მოსულ ამხანაგებში აწარმოებდა მოხსენებების კითხვას სხვადასხვა საინტერესო საკითხებზე და სხვა.

საორგანიზაციო დარგში.

რომ ადკომების მუშაობა მეტი ნაყოფიერი ყოფილიყო და მათი მუშაობა გაუმჯობესებული ყოფილიყო გამგეობამ მიიღო შემდეგი ზომები:

I. 8 აპრილს მოწვეულ იქმნა კურს-კონფერენცია, რომლებზედაც ესწრებოდენ ყველა ადკომების თავმჯდომარეები და პროფრწმუნებულები. ამ კონფერენციაზე იკითხებოდა საინსტრუქციო მოხსენებები ადკომების და მასთან არსებული სხვადასხვა კომისიების მუშაობის შესახებ. შემდეგ გაიმართა კითხვა-პასუხი და ამრიგად მაზრის პროფ-აქტივს განემარტა ყველა ის საკითხები, რომლებშიდაც ისინი ვერ იყვნენ სათანადოთ გარკვეულნი და ხელი ეშლებოდათ მუშაობის დროს.

II. გამგეობის წევრები მიმაგრებული იყვნენ ადკომებზე და პროფ. რწმუნებულებზე, რომლებსაც დავალებული ქონდა სისტემატიურად დასწრებოდა მათ კრებებზე და ეგზავნათ პერიოდულად მოხსენებები გამგეობაში მათი მუშაობის შესახებ.

III. გამორკვეულ იქნა წლის განმავლობაში თითო ჯერ ყველა უჯრედები 2-2 ჯერ 14 ადკომი და 3 ჯერ 4 ადკომის და მათ რაიონში არსებულ ურთიერთ დამხმარე სალაროების მუშაობა.

IV. გამოწვეულ იქმნა წლის განმავლობაში გამგეობის მოროგ სხდომებზე 7 ადკომის თავმჯდომარე მოხსენების გასაკეთებლათ მათი მუშაობის შესახებ.

V. ჩატარებულ იქმნა ადკომის და კულტფონდის სრული დეცენტრალიზაცია.

VI. გადაყვანილ იქმნა ყველა ადკომები და პროფრწმუნებულები გეგმიან მუშაობაზე.

VII. შეგროვებულ და გადაგზავნილ იქმნა დანიშნულებისამებრ:

1—ინგლისის ემიგრანტთა დასახმარებლად 765 მან.

2—ლენინაკანის დაზარალებულთათვის 63 მ. 59 კ.

3—თვით-მფრინავ „საქართველოს პროფკავშირი"-ს სასარგებლოდ 246 მან.

VIII. ჩატარებულ იქმნა ინდუსტრიალიზაციის სესხის რეალიზაციის კამპანია. სესხის რეალიზაციაში მონაწილეობა მიიღო 627 წევრმა და ხელმოწერილ იქმნა 7.714 მანეთის ობლიგაციები.

IX. ჩატარებულ იქმნა საპროტესტო მიტინგები ინგლისის მენშევიკების ინტრიგებთან დაკავშირებით უმთავრეს რაიონებში, როგორიც არის ოზურგეთი, ჩოხატაური და ლანჩხუთი, საპროტესტო კრებები და სხვა.

სატარიფო-საეკონომიო დარგში

I. ყველა სადაო საკითხების გადასაჭრელად რომელიც წამოიჭრება ადმინისტრაციისა და კავშირს შორის მოწყობილია ყველა უჯრედებთან შ. ს. კომისიები. ამ კომისიების მუშაობა ვერ არის ბევრ ადგილს დამაკმაყოფილებული, რაც მიეწერება უმთავრესად იმ გარემოებას, რომ ჩვენი წარმომადგენლები ამ კომისიებში არიან მასწავლებლები ადკომების თავმჯდომარე და წევრები, რომლებიც ხშირად ვარდებიან ადმინისტრაციის გავლენის ქვეშ იმის გამო, რომ ეშინიათ: ვაი თუ დღეს მე ვეწინააღმდეგე ადმინისტრაციის სურვილს, გავაგულისო ადმინისტრაცია და ხვალ მე გამიხდეს საქმე საკონფლიქტოდო. ამის გამო გამგეობას უხდებოდა ხოგი შ. ს. კომისიების დადგენილებები წარედგინა გასაუქმებლად სათანადო ორგანოებში ან და გა-

დაეტანა შრომის სასამართლოში. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ საჭიროა მიღებულ იქმნას სათანადო ზომები, რომ ჩვენ შევსძლოთ განთავისუფლებული ადკომების თავმჯდომარეების ყოლა და მანამ კი სანამ ეს ვერ გავვიხორციელებია შ. ს. კომისიების მუშაობა გადმოტანილ იქმნეს სამაზრო გამგეობასთან.

II. წელს ოზურგეთის მაზრაში სექტემბერ-ოქტომბრის თვის განმავლობაში მოხდა რამოდენიმე არა სრული 4 წლედების შემცირება და 6-7 წლედების გლეხთა ახალგაზრდობის სკოლებად გადაკეთება, რასაც შედეგად მოყვა ის, რომ შტატს გარეშე დარჩა 93 მასწავლებელი. სამაზრო გამგეობის ენერგიული მუშაობით და ც. გამგეობის დახმარებით თითქმის ყველა ეს მასწავლებლები მოწყობილ იქმნენ სამსახურში, რომელთაც აუნაზღაურდათ გამცდარი დროს ხელფასი.

III. სამაზრო გამგეობამ შესძლო საანგარიშო წლის განმავლობაში გაეხსნა კრედიტები მაზრის ყველა კოოპერატივებში მასწავლებელთათვის, რითაც მან შესძლო გაენთავისუფლებია კერძო ვაჭრების კლანჭებისაგან ჩვენი მასწავლებლობა.

IV. აგარაკ ბაზმაროზე მასწავლებელთა დასასვენებელ სახლში, რომლის აგება გამგეობამ გასულ წელს დაასრულა და რომელიც შესდგება 6 ოთახისაგან და ერთი დიდი დარბაზისაგან, გამგეობამ წელს გახსნა სასადილო მოაგარაკედ ამოსულ მასწავლებელთათვის, რომლითაც მან საშუალება მისცა 64 დასასვენებლად მოსულ მასწავლებლებს ესარგებლა იაფი და კარგი ღირსების სადილით. გარდა ამისა ყველა მოაგარაკე მასწავლებლებს ეძლეოდა, როგორც სადილი ნისიად, აგრეთვე გახსნილი ქონდა კრედიტი ეპოში.

V. ეხმარებოდა დამსახურებულ მასწავლებლებს პენსიის მიღების საქმეში სტაჟის აღდგენით და სხვ.

VI. ჩატარებულ იქმნა უმუშევართა დახმარების ანარიცხების კამპანია, რის გამოც ეს საკითხი დასმულ იქმნა ადკომების საზოგადო კრებებზე თანახმად დადგენილებისა ამ მიზნით შემოღებულ იქმნება 1 იანვრიდან 1/2% ანარიცხები.

შემდეგ მომხსენებელმა მოაწოდა კონფერენციას სტატისტიკური ცნობები კავშირის შემადგენლობის შესახებ, საიდანაც გაირკვა, რომ განყოფილება აერთებს 222 დაწესებულებებს, 986 კავშირის წევრს, რომელთა შორის 82 უმუშევარია. ყველა ეს წევრები გაერთიანებულია 20 ადკომში და 7 საპროფურწმუნებულოში.

გამგეობის მოხსენების შემდეგ მოხსენებას აკითებს სარევიზიო კომ. თავმჯდომარე ამხ. კ. ჭანუყვაძე, რომელმაც მოკლე მიმოხილვა გააკეთა გამგეობის მუშაობის შესახებ და შემდეგ შეეხო მის ფინანსიურ მუშაობას.

სარევიზიო კომისიის მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი. რომელშიაც მონაწილეობა მიიღო მთელმა რიგმა ამხანაგებმა. ისინი აღნიშნავდენ გამგეობის მიღწევებს და მიუთითებდენ ნაკლზედაც. კამათის დასრულების შემდეგ კონფერენცია ღებულობს რეზოლუციას გამგეობის მუშაობის შესახებ, რომელიც მიჩნეულ იქმნა დამაკმაყოფილებლად და მომავალი მუშაობის შესახებ მისცა მითითებანი, რომელიც შესდგება 8 მუხლისაგან.

განათლების განყოფილების მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა გან. განყოფილების გამგემ ამხ. ჭლენტმა. მომხსენებელი ვრცლად შეჩერდა ყველა იმ მიღწევებზე რომელიც აქვს გან. განყოფილებას ოზურგეთის მაზრაში. შეჩერდა იმ უწორო-მასწორობაზე, რომლებსაც ადგილი ჰქონდა სკოლების ქსელის განაწილების საქმეში და კერძოდ პროფსკოლებზე. მეტი სკოლების გახსნა (4—7 წლედებს). არ არის საჭირო, აღნიშნავს მომხსენებელი. ოზურგეთის მაზრაში. საჭიროა მისი რაციონალურად განაწილება, არა იმისდა მიხედვით, ამა თუ იმ პირს სად სურს სკოლის არსებობა, არამედ იმისდა მიხედვით, თუ სად არის ის საჭირო. საუბედუროდ წარსულში, აღნიშნავს მომხსენებელი, სკოლებს ხსნიდენ თითოროლა დაინტერესებული პირების სურვილის თანახმად და მოუწოდებს მასწავლებლებს დაეხმარონ გან. განყოფილებას ამ საქმის ჩატარებაში, რომელიც ნაწილობრივად დაწყებულია. შემდეგ ის შეჩერდა პირველ დაწყებით სავალდებულო სწავლების გატარებაზე და აღნიშნა ამ საქმეში ზოგიერთი ნაკლი იმის გამო, რომ ჩვენი სკოლები ვერ არიან რიგიანად განაწილებული. ბევრი სკოლები ცარიელია და ზოგან კი ასაკოვანი ბავშები უადგილობის გამო გვრჩება სკოლის გარედ, რომელთა რიცხვი, სამწუხაროდ ჩვენს მაზრაში 25% აღწევს. შემდეგ მომხსენებელი შეჩერდა გლეხთა ახალგაზრდობის სკოლებზე. მომხსენებელს მიუღებლად მიაჩნია ამ სკოლების რიცხვის გამრავლება, თუ არ იქნება საკმაო კადრი მომზადებული ხელმძღვანელებისა და ტეხნიკურ საშუალებათა. თუ ასეთ პირობებში გაგრძელდა ამ სკოლების არსებობა, ამბობს მო-

შხსენებელი, ის გადაიქცევა ისეთივე ბოროტებად როგორც არის 7 წლედები, რომელსაც ვერ ეგუება დღევანდელი სკოლის მდგომარეობა.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომლის შემდეგ მიღებულ იქმნა რეზოლიუცია რომლითაც კონფერენციამ გან. განყოფილების მუშაობა ჩასთვალა დამაკმაყოფილებლად და მიღებული ზომები განსაკუთრებით მის ორგანიზაციულ დარგში მიზანშეწონილად და მომავალი მუშაობისათვის მისცა მითითებანი, რომელიც შესდგება 14 მუხლისგან, რომელთა განხორციელებას უსათუოდ დიდი მნიშვნელობა ექმნება ჩვენი სკოლების გაჯანსაღების საქმეში.

გასამხედროების საკითხისა და მასწავლებლობის როლის შესახებ მოხსენება გააკეთა ტერ ლეგიონის ათასეულის სამხედრო კომისარმა ამხ. ჯოხნელიძემ, რომელიც მოსმენილ იქმნა დიდი ყურადღებით. მომხსენებელი მოკლედ შეჩერდა ბურჟუაზიული ქვეყნების სამხედრო მზადებასა და ზრახვების საკითხზე, შემდეგ გადავიდა იმ საკითხზე თუ რას უკარნახებს დღევანდელი პირობები ყველა პატიოსან საბჭოთა მოქალაქეს და კერძოთ სოფლის მასწავლებელს. მოხსენების შემდეგ მიღებულ იქმნა რეზოლიუცია, რომლითაც კონფერენცია აღუთქვამს ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოს ხელისუფლებას სოციალიზმის მშენებლობის საქმეში და ყოველივე თავისი შეძლებით შეებრძოლოს ყოველგვარ ჩვენზე მოსულ მტრებს და დაეხმაროს მას ქვეყნის გასამხედროების საქმის რიგიანად წარმოების საქმეში.

შემდეგ კონფერენციამ აირჩია ახალი გამგეობა 15 წევრისა და 6 კანდ. შემადგენლობით, სარევიზიო კომისია და დელეგატები რესპუბლიკანურ კონფერენციაზე. უნდა აღვნიშნოს, რომ კონფერენცია იყო მეტად საქმიანი და შინაარსიანი. ყველა გამოსულ ამხანაგებს ემჩნეოდა, რომ ის გამსჭვალულია საქმის სიყვარულით და მას სურს მისი ცოდნით და გამოცდილებით ყოველგვარი დახმარება გაუწიოს მომუშავე ორგანოებს თავიანთი ფუნქციების რიგიანად შესრულებაში.

დელეგატი.

ხმა პროვინციიდან

ერთ მთავარ ნაკლად „განათლების მუშაკის“-ა ჩაითვლება ის, რომ ჟურნალი არ აძლევს მასწავლებლობას დღეინდელობის ყოველმხრივ გაშუქებას. მრავალი წერილები იბეჭდება მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების შესახებ, მრავალი კიდევ „თვითგანვითარება“—„თვითმომზადების“ შესახებ, და არც ერთი ჟურნალი, ფართოდ ამისათვის არ ზრუნავს. მართალია, პედაგოგიურ-მეთოდიური მხარე—ფართოა და მასწავლებლობას შეუძლია (დაინტერესებულს, რასაკვირველია) ამით სარგებლობა, მაგრამ მარტო მეთოდებით და პროფესიონალური მოძრაობებით როდი განისაზღვრება მასწავლებელთა მომზადება. საჭირო იყო და არის მასწავლებლობა ხვდებოდეს წერილებს ჟურნალში მეცნიერებაზე, ხელოვნებაზე და სხვა. დიდად საჭირო იყო და არის ხუროძის წერილი (№ 3), სადაც ის გვირჩევს ხელოვნური ნაწარმოების, ლიტერატურულ ხასიათის ნაწარმოების, ლიტერატურულ ათვისებას და მით ხელმძღვანელობას ისე, რომ „ქართული ენა არ შეითქვლიფოს საზმოდნეობის ფარგალში“ და პირიქით. ყველაფერი ეს დადებითია. ახალი თემაა. შემდეგ ნომრებში სანიმუშო გარჩევასაც გვპირდება, მაგრამ ერთ რამეზეც საჭიროა ვიფიქროთ: ახალი, „ნორჩი მასწავლებლობა“, რომელიც აღზრდილია კიტა აბაშიძის და მისებრ ძველ იდეალისტების ყაიდაზე ჯერ კიდევ „არ გაგებს“ სანიმუშო გარჩევებს. ამისათვის ჯერჯერობით საჭირო იყო „მარქსისტულ-მატერიალისტურ ცოდნით შეიარაღება და შემდეგ დგომა იმ ბარიკადებთან, სადაც ახალი სკოლის პრინციპების დროშა ფრიალებს. შემწევს სითამამე ვთქვა: არის ისეთი მასწავლებლები, რომელთაც ჯერჯერობით „ახალი ცოდნის“ რევოლუციის რიყრაჟის ფერი არ უგვრძნია. თანადროულობა ლიტერატურულ პროფილებით არ უნახავს და ჩვენი მწერლობის და მწერლებისათვის „წითელ სათვალეებიდან“ არ გაუხედნია. რომ მასწავლებლებმა არ იფიქრონ, რომ მხოლოდ „პატრიოტიზმით“ განისაზღვრება ჩვენი მწერლობა ახლა მაინც, საჭიროა კრიტიკული ნაკვთებით გაცნობა ჟურნალის შემწეობით, თანამედროვე მწერლობის და პროლეტარულ პოეზიისა. თუ „მამულიშვილურ ხოტბებს“—და „იარი-არალოებს“ მასწავლებლებმა არ დაუპირდაპირეს „წითელი დროშათა“ და „გამარჯვებულ მუშათა“ სადღესასწაულო ძახილი და საამისო მწერლობა, ისე ვერ მივიღებთ

საბჭოთა მასწავლებელს, და ამისათვის, ჩემის აზრით, საჭირო არის ჟურნალში მიეცეს ადგილი თანამედროვე მწერლობას, მის გაშუქებას და ეს დამატებითი ფურცლები თვით ჟურნალ „განათლების მუშაკსაც“ გაუხსნის „მსურველთა“ ხელი მოწერის ათასეულ რიცხვს ძალზედ, სადაც ის ეხლა 15-დან 20-ით ისაზღვრება. ლიტერატურულ ფურცლების დამატება ეს მეთოდების ბრუნვაში ჩაღლილ მასწავლებლის „დესერტი“ იქნება და მათი კვალიფიკაციის აწევასაც ხელს შეუწყობს. და დღეს თუ ნაწილმა სრულიად არ იცის „ახალი სათვალეებიდან“ გაზედვა ამის შემდეგ კი ისინი დაწინაურდებიან. ნუ დაავიწყდება ჟურნალის ხელმძღვანელთ რომ „მიყრუებულნი“ სოფლები ტფილისი და ქუთაისი არ არის, რომ დავესწროთ საინტერესო ლიტერატურულ თემაზე მოხსენებას, თუ ლექციას.. ჩვენი ტფილისი „განათლების მუშაკი“ უნდა გახდეს... პედაგოგიურ პროფესიონალურ-ლიტერატურულ შუქის მომფენებელი.

ჩემი აზრით ძალიან კარგს იზამს გამომცემლობა თუ ჟურნალს გაადიდებს, ფასსაც მოუმატებს და ყოველ მასწავლებლისათვის ძვირფას საგანძურად გახდიდეს „განათლების მუშაკს“. ვფიქრობ, ამის შესახებ სხვა ამხანაგებიც გამოსთქვამენ თავიანთ აზრს.

მასწავლ. ვან—დარი

„დესერტის“ შესახებ.

Sამართლიანია ამხ. **ვან-დარის** ჩივილი: პროვინციაში მომწყვდეული მასწავლებელი, მოწყვეტილი კულტურულ ცენტრებს, მეტად ცუდ პირობებში იმყოფება. ეს ახალი ამბავი არ არის, მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ არას დროს იმდენი ყურადღება არ ექცეოდა ამ მდგომარეობის შემსუბუქებას, რამდენიც ეხლა, საბჭოთა ხელისუფლების ხანაში. მაგ., კავშირი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს კულტშუშაობას, გადადებულია ამისათვის განსაზღვრული თანხა და ყველა ადგილკომებთან არსებობს კულტკომისიები. საკმაოდაა აგრეთვე გაერცელებული სათვითგანვითარებო წრეები. ვიცით, რომ კულტკომისიები და წრეები ყველგან ვერ მუშაობენ კარგად, მაგრამ მუშაობა სწარმოებს და აკეთებენ რაც კი შეუძლიათ. სასიამოვნო მოვლენად უნდა ჩაითვალოს, რომ ამხანაგებს ეს არ აკმაყოფილებს. ეს იმის მომასწავებელია, რომ წინ წავალთ, მუშაობას გავაუმჯობესებთ.

ამავე მიზანს, ე. ი. განათლების მუშაკის გათვითცნობიერებას, მისი კვალიფიკაციის და საერთო კულტურული დონის ამაღლებას ემსახურება ჟურნალი „განათლების მუშაკი“. მაგრამ ის ყველაფერს ვერ აძლევს მასწავლებელს, ვერ აკმაყოფილებს ყველა მის მოთხოვნილებებს. ასეთი ჟურნალი არსად არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს. ამ მხრით „განათლების მუშაკი“ სხვა ამგვარ გამოცემებზე წინ სდგას. რუსულ ენაზედაც არ არსებობს ამ ტანის ჟურნალი, რომელსაც ამდენი განყოფილება და ასე მრავალნაირი შინაარსი ჰქონდეს.

მიუხედავად ამისა, მე მაინც სავსებით ვეთანხმები ამხ. ვან-დარის, რომ მარტო მეთოდიკა და პროფცოდნა ვერ მოგვცემს იმ ენციკლოპედიური ცოდნით აღჭურვილ და შემოქმედ მასწავლებელს, რომელიც აუცილებელია საბჭოთა

შრომის სკოლებისათვის. ვიმეორებ, ყველაფერს ვერ იკისრებს და ვერ შეასრულებს ვერც ერთი ჟურნალი, მაგრამ „განათლების მუშაკს“ რომ თან ახლდეს „დესერტი“, ე. ი. ლიტერატურული განყოფილება ან დამატება, ძალიან კარგი იქნებოდა. ამავე საკითხს აყენებს პატარძეულის „ჟურნალის მეგობართა წრე (იხ. „განათლების მუშაკი“ № 8, გვ. 16).

უნდა მოვახსენო ამხანაგებს, რომ ჟურნალის გამომცემელს (კავშირის გამგეობას) და ხელმძღვანელებს ეს საკითხი არ დავიწყებიათ. ლიტერატურული განყოფილების შესახებ იდგა საკითხი 1925 წელსაც და გასულ ზაფხულზეც, როცა ჟურნალის განახლება გადაწყდა. ეს უნდა იცოდენ ჩვენი ჟურნალით დაინტერესებულმა პირებმა. როდესაც გასულ წელს, ზაფხულზე, ხელისმოწერა გამოცხადდა, მასთან ერთად დაურიგდა ადგილებს 6,000 ცალი ანკეტა. ამ ანკეტებში ვეკითხებოდით ამხანაგებს ლიტერატურული განყოფილების შესახებ. სამწუხაროდ, მხოლოდ ორი ადგილიდან მივიღეთ პასუხი (დადებითი). ცხადია, ანკეტამ მიზანს ვერ მიაღწია, მაგრამ ისიც ცხადია, რომ უსამართლოა ამხ. ვან-დარის საყვედური ჟურნალის ხელმძღვანელებისადმი, —ნუ დაგვივიწყებათო და სხ.

არა, ეს ჩვენ არ დაგვვიწყებია, მაგრამ ვერც დადებითად გადავწყვიტეთ და ამხანაგების ფართე მასას შევეკითხეთ. ყოველივე ეს მოვიყვანე მხოლოდ ცნობისათვის, რომ გაუგებრობას და დაუმსახურებელ საყვედურებს ადგილი აღარ ექნეს.

ეხლა კი საკითხს შევეხოთ კონკრეტულად. 1) არის თუ არა საჭირო ლიტერატურული განყოფილება ან დამატება და 2) რა პირობებში შეიძლება მისი განხორციელება? პირველი საკითხი უნდა გადასწრან ხელის მომწერლებმა. ორი-სამი ადგილკომის აზრი ამისათვის, ცხადია, არ კმარა. ყველგან უნდა დაარსდეს „ჟურნალის მეგობართა წრე“, გაირჩეს ეს საკითხი და ეცნობოს რედაქციას.

მაგრამ ამ საკითხის გარჩევის დროს, უეჭველად დასჭირდებათ ამხანაგებს იმისი გაგება, თუ რა პირობებში შეიძლება მისი განხორციელება. მოგახსენებთ, კიდევ ერთი განყოფილება, ლიტერატურული, რომ მიემატოს ჩვენს ჟურნალს, შეიძლება დაეთმოს, სულ დიდი 2—3 ფურცელი, ე. ი. 4—6 გვერდი ჟურნალისა და მაშასადამე ფასის გაუდიდებლად მეტი შეუძლებელია. 4—5 გვერდზე კი ვერავითარ მნიშვნელოვან ლიტერატურულ მასალას ვერ მოვათავსებთ და ვერც ღირსეულ თანამშრომლებს მივიზიდავთ ასეთი პატარა ადგილისათვის. ჟურნალის სხვა განყოფილებებს კი ეს იმდენად შეავიწროვებს, რომ ყოველგვარ მნიშვნელობას დაუკარგავს. მაშასადამე ჟურნალის გაუდიდებლად ლიტერატურული განყოფილების შემოღება არ შეიძლება. აუცილებელი ხდება ჟურნალის გადიდება. რამდენით? თუ გვინდა ლიტერატურულ განყოფილებას რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს და მიზანს მიაღწიოს, ის არ შეიძლება იყოს ჩვენი ჟურნალის 16 გვერდზე ნაკლები. ეს კი გამოიწვევს ჟურნალის წლიური ფასის გადიდებას დაახლოებით 3 მანეთით, ე. ი. 6 მ. მაგიერ 9 მანეთი. მაგრამ მაშინ უკეთესია ცალკე გამოიცეს 16 გვერდიანი ლიტერატურული ორკვირეული დამატება. ასე-

თი დამატება განათლების მუშაკებს გარეშეც ბლომად გასაღდება და ხარჯებს შეამსუბუქებს. ჩვენი ხელისმომწერლებისთვისაც კარგი იქნება: ერთ კვირაში მიიღებს „განათლების მუშაკს“, მეორე კვირაში ლიტერატურულ დამატებას და ასე ყოველ კვირაში მიიღებს თითო ჟურნალს.

მაშასადამე, ცალკე ლიტერატურული დამატების გამოცემა ჯერ მიზანშეწონილია. მაგრამ ლიტერატურულ განყოფილებას შემოვიღებთ თუ ცალკე დამატებას გამოვსცემთ,— ორივე შემთხვევაში ეს იწვევს ჟურნალის ფასის გადიდებას წლიურად სამი მანეთით. ცხრა მანეთის გაღება კი ჩვენი კავშირის წევრებს ძლიერ გაუჭირდებათ. აი სად სწყდება საკითხი. მაგრამ არის ერთი საშუალება არსებული ფასის, 6 მანეთის, გაუდიდებლადაც გამოვსცეთ ლიტერატურული დამატება. ეს გახლავთ ჟურნალის ტირაჟის გადიდება. თუ ხელისმომწერთა რიცხვს ავიყვანთ 5000-ამდე, მაშინ შეიძლება იმავე ექვს მანეთად მივსცეთ ყოველ ხუთ ნომერზე გაუწყობესებული არსებული ჟურნალიც და ლიტერატურული დამატებაც. რომ ეს შესაძლებელია, დარწმუნდებით შემდეგი ანგარიშიდან. ეხლა გვყავს 2000 ხელის მომწერი, რომელნიც თვეში იხდიან ათ-ათ შაურს. მაშასადამე ხელისმომწერლებიდან შემოდის თვეურად 1000 მანეთი. 500 მანეთსაც დატაციას აძლევს ჟურნალს თვეურად ცენტ. გამგეობა. სულ ჟურნალის თვეური შემოსავალია 1500 მანეთი. გაჭირვებით, მაგრამ მაინც ვუძლვებით ჟურნალს ამ თანხით. თუ ხელისმომწერთა რიცხვი ავა 5000-მდე, მაშინ ათ-ათ შაურობით თვეში შემოვა 2500 მანეთი, ე. ი. 1000 მანეთით მეტი, ვიდრე ეხლა შემოდის ჟურნალის ორივე წყაროდან. აქედან 200 მანეთამდე მოუნდება ჟურნალის გადიდებულ ტირაჟს. დანარჩენი 800 მანეთი კი საესებით ეყოფა ორნომერ 16 გვერდიან დამატებას.

ასეთია საქმის მდგომარეობა. ან სამი მანეთით უნდა გავადიდოთ ჟურნალის ფასი, ან ხელისმომწერთა რიცხვი უნდა ავიყვანოთ 5000-ამდე. ჯერო ადვილი და მიზანშეწონილია, ჩემი აზრით, მეორე გზა. გამოვიჩინოთ საჭირო დისციპლინა, დავისახოთ გადაუდებელ დამკვრელ ამოცანად ჟურნალის ტირაჟის გადიდება, მოვახდინოთ ყველა აქტიური ძალების მობილიზაცია და ავიყვანოთ ხელისმომწერთა რიცხვი 5000-ამდე. ეხლანდელმა ყოველმა ხელისმომწერმა რომ თითო ამხანაგს ურჩიოს და ჟურნალი გამოაწერიოს, მიზანი მიღწეული იქნება. ადგილკომები, კულტკომისიები, სათვითგანვითარებო წრეები, ჟურნალის მეგობართა წრეები—ყველა უნდა ამოძრავდეს, ყველამ უნდა ენერგიულად შეუდგეს ჟურნალის გავრცელებას. ძლიერი მონდომებით და საერთო ძალებით შევუტიოთ ჩვეულებრივ გულგრილობას ჟურნალისადმი და გადავლახოთ ეს პატარა დაბრკოლება.

პ. ჭანიშვილი.

ადგილკომების მუშაობა

ხეთა. (ზუგდიდის მაზრა). ხეთის ადგილკომის წევრთა კრება შესდგა ა.-წ. 1 დეკემბერს, რომელსაც დაესწრო ზუგდიდის სამაზრო გამგეობის თავმჯდომარე პ. უგულავა. დღის წესრიგში იდგა ადგილკომის და ურთიერთ დამხმარე სალაროს გამგეობის მოხსენება და ერთი დელეგატის არჩევა სამაზრო კონფერენციაზე. კრებამ მოისმინა მოხსენება ადგილკომის მუშაობის შესახებ და გამოირკვა, რომ ადგილკომთან არსებული თვითგანვითარების წრეები მუშაობს და წევრები ესწრება ყოველკვირაობით მეცადინეობას. ამის გარდა თვეში ერთხელ მიდის მოხსენება სხვადასხვა თემაზე, (პედაგოგიურ პოლიტიკურზე და პროფესიონალურზე,) რომელსაც ესწრება, როგორც მასწავლებლები, ისე გარეშე პირები.

ყოველგვარი მოხსენება ტარდება გლეხებთან, რაც მეტად დიდ შთაბეჭდილებას სტოვებს გლეხებში. ადგილკომის გაძეგობას განსაკუთრებული ყურადღება მიუქცევია კულტმუშაობისათვის. ადგილკომის მუშაობასთან დაკავშირებით საინსტრუქციო მოხსენებით გამოვიდა სამაზრო გამგეობის თავმჯდომარე პ. უგულავა, რომელიც მეტად კმაყოფილი დარჩა მოსმენილით.

უგულავამ აღნიშნა, რომ მასწავლებელი თუ ფიქრობს: „რაც ვიცი ის არ დამავიწყდეს და ის მყოფნისო, ასეთი მასწავლებელი, მასწავლებელი არ არისო. მასწავლებელი უნდა ამბობდეს, რომ დღეს რაც ვიცი, სამჯერ მეტი უნდა ვიცოდე ხვალო“ ასეთ მასწავლებელს შეუძლია ახალი სკოლის შექმნაო. უგულავამ მოუწოდა ყველას, რომ მოკიდოს ხელი თვითგანვითარებას და ეცადოს კვალიფიციის ამაღლებას. თვითგანვითარებისათვის უგულავამ ურჩია კრებას წრეებში მეცადინეობა და არა მოხსენებები. მოხსენებები არ არის იმდენი ნაყოფიერი, რამდენადაც ჯგუფებში მეცადინეობა. კრებამ დაადგინა: კვირაში ორჯერ იქნეს წრეში მეცადინეობა. პ. უგულავამ მოუწოდა, რომ ჟურნალი „განათლების მუშაკი“ ბეჭდვითი ორგანო ჩვენი კავშირისა თვითეულმა წევრმა უნდა გამოიწეროსო. აგრეთვე „ახალი სკოლისაკენ“. კრებამ დაადგინა, რომ დღეიდან იქნეს გამოწერილი თითეული წევრების მიერ „განათლების მუშაკი“ და „ახალი სკოლისაკენ“.

ასეთია ხეთის ადგილკომის მუშაობა, რაც ცნობილი იქნა დამაკმაყოფილებლად. ურთი-ერთ დამხმარე სალაროს მუშაობა ცნობილი იქნა დამაკმაყოფილებლად, მხოლოდ წინადადება მიეცა სალაროს გამგეობას ვადა გასული თამასუქები გადაეცეს სასამართლოს.

დასასრულ მოხდა არჩევნები. ადგილკომის და ურთიერთ დამხმარე სალაროს გამგეობაში არჩეული იქნა სამ-სამი წევრი და თითო კანდიდატი. კრება დაიხურა საღამოს საათის ხუთზე.

მასწ. აკ. ნაჭყებია.


სილნალის მაზრა. განათლების მუშაკთა კავშირის სილნალის სამაზრო განყოფილება აერთიანებს 17 ძირითად პროფუჯრედს ამათში: 1. ქალაქის ადგილკომი, 10 სარაიონო და 6 სარწმუნებულო. ესენია: ადგილკომები: 1 ქ. სილნალის 2 ანაგის, 3 მაღაანის, 4. წითელ-წყაროს, 5. გურჯაანის, 6. ველისციხის, 7. ლაგოდეხის, 8. ჯოყენის, 9. ვარდი უბნის, 10. კაკაბეთის, 11. კაპრეთის. სარწმუნებულო: 1. ს ქობოს, 2. ნუკრიანის, 3. ბოდბე-კელეშურის, 4. ქედი, 5. ბაისუბნის და 6. ბაკურციხის. სამაზრო ცენტრიდან ბევრი მათგანი იმდენად არის დაშორებული, რომ დილიდან საღამომდე მარტო გზას უნდება კაცი, რაც ნაწილობრივ გვიძნელებდა მუშაობას და გვიხანგრძლივებდა გადარჩევებისათვის განსაზღვრულ დროს.

გადარჩევები დაიწყო 23 ოქტომბრიდან და დასრულდა 14 ნოემბერს. უნდა აღინიშნოს, რომ შედარებით წარსულ წლებთან გაერთიანებულ კრებებზე დამსწრეთა პროცენტები შესამჩნევად გაიზარდა და თითქმის მიღწეულ იქმია ადგილკომებში გაერთიანებულ წევრთა ბევრგან მთელი 100%-იანი დასწრება. გარდა ამისა, რაც მთავარია, გადარჩევები ატარებდა საქმიან და სერიოზულ ხასიათს ფართე დემოკრატიულ პრინციპებით. წევრთა აქტივობა, საქმიანი შეკითხვები და ბოლოს კამათი ამის დამამტკიცებელი იყო.

უკეთებდით რა ჯამს ადგილკომის წარსულ წლის მუშაობას, ვხედავდით ახალი შემადგენლობისათვის მთავარ სამუშაო ხაზს, რისთვისაც ვირჩევდით საქმიან კომისიებს პრაქტიკულ მითითებების მისაცემად: ადგილკომების მუშაობა თითქმის ყველგან (2 გამოკლებით) შეფასებულ იქმნა დამაკმაყოფილებლად. ჩვენი კავშირის ცენტრალური გამგეობის დირექტივების თანახმად ჩვენს მიერ წინასწარ იქმნა მიღებული ზომები ადგილკომების ახალ შემადგენლობაში გაგვეყვანა რაც ეიძლება მეტი პროცენტი ახალგაზრდობისა, რაც უნდა ითქვას, ავსებით გატარებულია ცხოვრებაში. იმ მიზნით, რომ ადგილკომების ახალ შემადგენლობაში ყოფილიყვენ საკავშირო საქმეებში უფრო გამოცდილი ამა ნაგები, მხედველობიდან არ გაგვიშვია ის გარემოებაც, რომ მის შემადგენლობაში დაგვეტოვებია თითო ოროლა ძველი წევრებიც.

ს.—ს.











1918 X 1928



1—არხეოლოგიური მუზეუმი: ძველი ხელნაწერების გარჩევა.
2—ანატომიური კაბინეტი.
3—მეცადინეობა ანატომიაში.
4—თერაპევტიული კლინიკა: პროფ. ლადაშვილი თავისი ასისტენტებით.
5—თერაპევტიული კათედრის ლაბორატორიაში.
6—მზადება ოპერაციისათვის.
7—მეცადინეობა ჰისტოლოგიაში.
8—კვლევა და ცდები კლინიკურ ლაბორატორიაში.

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ათი წლის თავი



ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. მთავარი შენობა.

პროფ. კ. კეკელიძე.

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუშაობა 1918-1928 წ. წ.

უნივერსიტეტის სტრუქტურა.

ათი წელიწადი შესრულდა მას აქეთ, რაც გაიხსნა ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეს აკვანი და კერა ჩვენი ეროვნული კულტურისა.

ქართული უნივერსიტეტი, ინიციატორთა აზრით, არსდებოდა, რათა 1) საშუალება მიეცა ქართველ ახალგაზრდობისათვის მიეღო უმაღლესი განათლება მშობლიურ ენაზე, შინ, შორეულ ჩრდილოეთში წაუსვლელად, სადაც მთელი წლობით ცხოვრება და მეცადინეობა მისთვის ეკონომიურადაც ძნელი იყო და ფიზიკურადაც მძიმე; 2) მოემზადებინა, ადგილობრივ პირობებთან შეგუებით, მეცნიერული მუშაკები სახელმწიფოს სამეცნიერო, სამეცნიერო-სატექნიკო და საწარმოო დაწესებულებათათვის, შეეტანა და გაევრცელებია მასაში, მოსახლეობაში, მეცნიერული ცოდნა; 3) ყოველმხრივ შეესწავლა საქართველო, რომელიც თავისი ფლორით, ფაუნით, ბუნებრივი სიმდიდრით, ენით, ლიტერატურით, ისტორიით და ზნეჩვეულებით მეტად საინტერესო ობიექტს წარმოადგენს მეცნიერული კვლევა ძიებისათვის და რომელსაც უცხო მეცნიერნი, პირადი სამეცნიერო ინტერესებით იძულებულნი, შემთხვევით თუ შეეხებოდენ თავიანთ შრომე-

ბში; 4) უფრო მტკიცედ და ფართოდ განხორციელებულიყო უნივერსიტეტის ა.შუალებით ის კულტურული მისია, რომელიც წინააზიაში ისტორიულად დაკისრებული ჰქონდა საქართველოს, როგორც შემაერთებელ ხიდს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ცივილიზაციებისას.

1918 წლის 8 თებერვალს უნივერსიტეტი გაიხსნა მხოლოდ ერთი, ე.წ. ერედწოდებულ სიბრძნისმეტყველების ან ფილოსოფიური ფაკულტეტის სახით; ეს ფაკულტეტი შეიცავდა ყველა იმ საგნებს, რომლებიც ძველი რუსეთის უნივერსიტეტებში ორს ფაკულტეტზე, ისტორიულ-ფილოლოგიურზე და აღმოსავლეთის ენებისაზე, ნაწილობრივ ეკონომიურზედაც, იკითხებოდა. 1918 წ. შემოდგომაზე უნივერსიტეტში გაიხსნა საექიმო და სამათემათიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტები; უკანასკნელთან 1919 წლის შემოდგომიდან დაარსდა აგრონომიული განყოფილება, რომელიც 1921 წლის შემოდგომაზე გამოყოფილ იქნა ქალკე, აგრონომიულ ფაკულტეტად. იმავე 1921 წლის შემოდგომიდან სიბრძნის-მეტყველებისა და სამათემათიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტები გაერთიანებულ იქმნა პედაგოგიური ფაკულტეტის სახელწოდებით. 1922 წელს მარტში უნივერსიტეტში გაიხსნა პოლიტექნიკური ფაკულტეტი, ხოლო იმავე წლის შემოდგომაზე მუშათა ფაკულტეტი.

ამნაირად, დღესდღეობით უნივერსიტეტი შესდგება ექვსი ფაკულტეტისაგან, ესენია: 1) **საექიმო**, 2) **პედაგოგიური**, რომელსაც ექვსი განყოფილება აქვს: საისტორიო, სალიტერატურო, საენათმეცნიერო, სამათემათიკო, ფარმაცევტიული (რომელიც ლიკვიდაციის სტადიაშია) და საბუნებისმეტყველო; უკანასკნელს ოთხი განხრა აქვს: ბიოლოგიური, ქიმიური, პედოლოგიური და გეოგრაფიული; 3) **სოციალ-ეკონომიური** ორი განყოფილებით: სოციალურით და ეკონომიურით; უკანასკნელს სამი განხრა აქვს: სტატისტიკური, კოოპერატიული და ფინანსიური, 4) **აგრონომიული**, რომელსაც სამი განყოფილება აქვს: სოფლის მეურნეობის, მეტყეობის, მებაღეობა-მეღვინეობის; 5) **პოლიტექნიკური**, რომელიც სამი განყოფილებისაგან შესდგება: მექანიკურის, საალმშენებლო და სამთოსაგან; თვითეულ ამ განყოფილებას ორი დარგი აქვს: მექანიკურს—ელექტრო მექანიკური და ჰიდრო-მექანიკური; საალმშენებლოს—სახუროთმოძღვრო და საალმშენებლო; სამთოს—სამთომადნო და ქიმიურ მეტალურგიული. 6) **მუშათა ფაკულტეტი**, რომელიც მუშათა მასებს ამზადებს უნივერსიტეტში შესასვლელად.

ადმინისტრაცია.

დღიდან არსებობისა 1926 წლამდე უნივერსიტეტი თავის ყოველდღიურ ცხოვრებასა და მოქმედებაში ხელმძღვანელობდა მის მიერ შედგენილი და დავის დროს დადასტურებული წესდებით, რომლითაც ნაგულისხმევი იყო შემდეგი კოლეგიალური და ერთპიროვნული ორგანო მართვა-გამგეობისა: პროფესორთა საბჭო, ფაკულტეტის საბჭო, უნივერსიტეტის გამგეობა, რექტორი, პრორექტორი და დეკანები.

1926 წლის ივნისში შემოღებულ იქმნა ახალი წესდება უნივერსიტეტისა, რომელმაც მისი მართვა-გამგეობის მთავარი ცენტრი პროფესორთა საბჭოდან

გამგეობაში გადმოიტანა და კოლეგიალურს ორგანოებში, როგორიცაა უნივერსიტეტის საბჭო, ფაკულტეტების საბჭო, საგნობრივი კომისიები, გააძლიერა უმცროს მასწავლებელთა, სტუდენტთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლობა. ახალი წესდების შემოღებისას მოხდა გადარჩევა როგორც კოლეგიალური, ისე ერთპიროვნული ორგანოებისა, რომელთა შემადგენლობა დღეს ასეთია; რექტორი უნივერსიტეტისა და თავმჯდომარე გამგეობისა, ამხ. **თ. ღლონტი,** პრორექტორი სასწავლო-სამეცნიერო ნაწილისა, პროფ. **კ. კეკელიძე,** პრორექტორი ადმინისტრატიული ნაწილისა, პროფ. **შ. ნუცუბიძე,** დეკანი პედაგოგიური ფაკულტეტისა ამხ. **კ. სულაქველიძე,** დეკანი სოციალ-ეკონომიური ფაკულტეტისა ამხ. **ა. ერქომაიშვილი.** დეკანი საქიმო ფაკულტეტისა, პროფ. **ალ. მაჭავარიანი.** დეკანი პოლიტექნიკურ ფაკულტეტისა, პროფ. **ნ. მუსხელიშვილი.** დეკანი აგრონომიული ფაკულტეტისა, ამხ. **ვ. კანდელაკი.** დეკანი მუშათა ფაკულტეტისა, ამხ. **ღ. რუხაძე.**

სასწავლო-სამეცნიერო პერსონალი.

უნივერსიტეტის სასწავლო-სამეცნიერო და სასწავლო-ტექნიკურ მუშაობას აწარმოებენ პროფესორები, დოცენტები, პრივატ-დოცენტები, ლექტორები საგენებისა და ენებისა, ასისტენტები, ასპირანტები (უნივერსიტეტთან დატოვებულნი), ორდინატორები და პრეპარატორები. როგორც უნივერსიტეტის გახსნის წინასწარ მუშაობის პროცესში, ისე მისი გახსნის შემდეგაც უნივერსიტეტის ხელმძღვანელი ორგანოები ყოველ ღონეს ხმარობდენ უზრუნველეყოთ ახლად შექმნილი უმაღლესი სასწავლებელი საჭირო სამეცნიერო ძალებით, რომელნიც ქართულ ენაზე შეძლებდენ სასწავლო სამეცნიერო მუშაობის წარმოებას. ამ მიზნით იმართებოდა მიწერმოწერა და პირადი მოლაპარაკება ყველა იმ პირებთან, რომელნიც მუშაობდენ რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში, ანდა საქართველოში ეწეოდენ კვალიფიციურ სამეცნიერო-აკადემიურ მოღვაწეობას. ზოგიერთი კათედრა ჩაბარდა არაქართველ მეცნიერებსაც, რომელთაც გარკვეულ ვადაში უნდა მოემზადებიათ ახალი ძალები ამათუიმ სპეციალობაში მოსწავლე ქართველ ახალგაზრდათაგან. ზოგიერთ შემთხვევაში ეს მიზანი მიხწეულია, ზოგიერთში კი მუშაობა ეხლაც გრძელდება ამ მიმართულებით. ზოგიერთ ფაკულტეტებზე, განსაკუთრებით პრაქტიკულ გამოყენებითს დარგებში, მაღალ კვალიფიციურ სამეცნიერო ძალთა უქონლობის გამო, ლექციების კითხვა ჩაჰბარდა ახალგაზრდა ლექტორებს, რომელნიც იწყებენ მეცნიერულ მუშაობას და თავის დარგში შრომებიც მოეპოვებათ.

უნივერსიტეტის შემადგენლობა თანდათან იზრდებოდა, ასე რომ დღესდღეობით უნივერსიტეტში ითვლება: 41 პროფესორი, 25 დოცენტი, 93 ლექტორი, 4 პრივატდოცენტი, 115 ასისტენტი, 32 ასპირანტი, 46 ორდინატორი, 49 პრეპარატორი, სულ—405 კაცი.

სტუდენტთა შემადგენლობა:

როგორც მოსალოდნელი იყო, ქართული უნივერსიტეტის დაარსებას დიდი აღფრთოვანებით შეხვდა ჩვენი ახალგაზრდობა; მას მოაწყდა ყველა, ვისაც კი ქართული უნივერსიტეტის იდეა აინტერესებდა. მსმენელებად ისეთებიც კი ჩაეწერენ, რომელთაც უმაღლესი სწავლა სხვა უნივერსიტეტებში ჰქონდათ მიღებული.

დღეს დღეობით უნივერსიტეტში ითვლება 7803 სტუდენტი, აქედან 6037 ვაჟი, 1766 ქალი. ფაკულტეტობრივად ეს რიცხვი ასე ნაწილდება: პედაგოგიურ ფაკ—ტზე 2359 სტუდენტი, სოციალ-ეკონომიურზე 2163, აგრონომიულზე 1111, სამკურნალოზე 1108, პოლიტექნიკურზე 1062. მუშათა შვილები შეადგენენ 19½ პროცენტს, გლეხების 23½%, მოსამსახურეთა 26½%, ხელოსნების 1½%, დანარჩენი 29½% კომპარტიის და კომკავშირის წევრები და კანდიდატები 20%, უპარტიონი 80%.

პედაგოგიური მუშაობა.

ფაკულტეტებზე მეცადინობა სწარმოებს გარკვეულ სასწავლო გეგმებით, რომლებიც უკანასკნელად გადასინჯულ და შესწორებულ იქნა 1926-27 აკადემიური წლის დამდეგს იმ მიზნით, რომ მათ მისცემოდა პრაქტიკული განხრა და მეტი სიახლოვე და კავშირი ჩვენი ცხოვრების საჭიროებებსა და სინამდვილესთან. პედაგოგიური მუშაობის მეთოდი, რომელიც შეადგენს ერთერთ მთავარ საგანს საგნობრივი კომისიებისა და ფაკულტეტთა საბჭოების ზრუნვისას, არის ლექციური, სემინარული და ლაბორატორულ-პრაქტიკული.

უკანასკნელ წლებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სტუდენტების მივლინებას საზაფხულო საწარმოო პრაქტიკაზე. ამ მივლინებისას სტუდენტი უშუალო მონაწილეობას ღებულობს იმ მუშაობაში, რომლისთვისაც ის სპეციალურად ემზადება, ეცნობა იმ წრეს და გარემოს, რომელშიაც მას მოუხდება მერე მუშაობა.

უნივერსიტეტში თავდაპირველად შემოღებული იყო საგნობრივი სისტემა, რომელიც მერე შეიცვალა კურსობრივად, ამათუიმ კურსის დამთავრების შემდეგ სტუდენტი აბარებს ზეპირ ჩათვლებს, რომელთა საშუალებით ირკვევა მისი წარმატება მეცადინეობაში. შედეგი ზეპირი ჩათვლებისა, თუ სანიმუშოდ ავიღებთ უკანასკნელ სამოსწავლო წელს, ასეთია: გადავიდა შემდეგ კურსზე 62 პროც., დარჩა იმავე კურსზე 23 პროც., გავიდა უნივერსიტეტიდან 15 პროც.

რაც შეეხება კურსდამთავრებულთა რიცხვს, ჯერჯერობით ის არც ისე დიდია; საქმე ისაა, რომ საერთოდ გამოშვება კურსდამთავრებულთა უნივერსიტეტში დაიწყო 1923 წლიდან, სოციალ-ეკონომიურმა ფაკულტეტმა პირველი გამოშვება მოგვცა მხოლოდ გასულ სამოსწავლო წელს, პოლიტექნიკურ ფაკულტეტზე კი გამოშვება ჯერაც არ ყოფილა, რადგანაც ფაკულტეტი, რომელზედაც ხუთწლიანი კურსია, გაიხსნა მხოლოდ 1922 წელს.

პედაგოგიურ ფაკულტეტზე კურსი დაუმთავრებია და დიპლომი მიუღია 152 კაცს, საექიმოზე 451, აგრონომიულზე 143, სოციალ-ეკონომიურზე 14-სულ 760 კაცს.

გარდა ამისა არიან ისეთებიც, რომელთაც სხვადასხვა წლებში მოისმინეს სრული კურსი და წაიღეს დროებითი მოწმობა, მაგრამ სახელმწიფო გამოცდები არ ჩაუბარებიათ და ამიტომ დიპლომები არ მიუღიათ. ასეთებია პედაგოგიურ ფაკულტეტზე 172, სოციალ-ეკონომიურზე 143 და აგრონომიულზე 191 კაცი, სულ 506.

ამნაირად უნივერსიტეტის სრული კურსი დაუმთავრებია სულ 1266 კაცს, ეს ციფრი დიდი არაა, მაგრამ თუ მხედველობაში გვექნება ის მძიმე მატერიალური პირობები, რომელშიაც ჩვენს სტუდენტობას უხდებათ მეცადინეობა, ის გასაგებია.

სამეცნიერო მუშაობა

პედაგოგიური პერსონალის მეცნიერული მუშაობა მდგომარეობს: სავალდებულო კურსების და სამეცნიერო გამოკვლევების შედგენაში, სამეცნიერო მივლინებასა და ექსკურსია-ექსპედიციებში, ახალგაზრდა მეცნიერთა მომზადებაში, სტუდენტთა სამეცნიერო წრეების ხელმძღვანელობაში და სხვადასხვა დაწესებულებებსა და წარმოებებში სამეცნიერო კონსულტაციაში.

1. თუ სავალდებულო კურსების შედგენა და ჩამოყალიბება საზოგადოდ ძნელია, ეს მით უფრო ძნელია ჩვენს ახალგაზრდა უნივერსიტეტში. ჩვენს მეცნიერებს, რომელთაც განათლება უცხო ენაზე მიუღიათ, ქართულ ენაზე ჩამოყალიბება კურსების საგრძნობლად ურთულებს მუშაობას, მით უმეტეს, რომ მათვე უხდებათ სამეცნიერო ტერმინების ძებნა და უმეტეს შემთხვევაში შექმნაც. ამ სიძნელეს ადგილი აქვს მაშინაც კი, როდესაც მზაზარეული სახელმძღვანელო ითარგმნება უცხო ენიდან. ამ მხრივ უნივერსიტეტის მეცნიერები კოლოსალურ მუშაობას აწარმოებენ და, რაც საყურადღებოა, ზოგიერთმა მათგანმა უკვე მოასწრო თავისი კურსების გამოცემა. მართალია, ქართულ ენაზე დაბეჭდილი სახელმძღვანელოებით უნივერსიტეტი ჯერჯერობით არაა დაკმაყოფილებული, მაგრამ ამ მხრივ დაკმაყოფილებული არაა ხშირად ისეთი უნივერსიტეტებიც კი, რომელთაც ხანგრძლივი ისტორია აქვთ; სახელმძღვანელოს შედგენა, ჩამოყალიბება და გამოცემა მეცნიერებს უძნელდებათ არამც თუ ათის, არამედ ათეული წლების განმავლობაში.

2. სამეცნიერო გამოკვლევები იწერება დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად და გადასაჭრელად ამათუმ საკითხისა, რომელიც მკვლევარს აინტერესებს. დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი იყო ამ ათი წლის განმავლობაში 19 დისერტაცია, რომელიც ფაკულტეტობრივ ასე ნაწილდება: პედაგოგიურზე 7, საექიმოზე 11, სოციალ-ეკონომიურზე 1, უნივერსიტეტის სამეცნიერო პერსონალი თავის ნაშრომებს ბეჭდავდა უმთავრესად უნივერსიტეტის გამომცემლობის საშუალებით, ნაწილობრივ სახელმწიფო გამომცემლობის დახმარებით. სამეცნიერო შრომები იბეჭდებოდა ადგილობრივს ქარ-

თულსა და რუსულ სამეცნიერო ორგანოებშიაც, აგრეთვე არა იშვიათად საზღვარ გარედაც უცხო ენებზე. საერთოდ უნივერსიტეტის მუშაკთა მეცნიერული პროდუქცია ამ ათი წლის განმავლობაში უდრის 2131 დაბეჭდილს თექვსმეტგვერდიან თაბახს.

3. უნივერსიტეტის მუშაკები მეცნიერების ახალ მოღვაწეთა გასაცნობად და თავისი ცოდნის შესავსებად და გასაღრმავებლად ან და სხვადასხვა სამეცნიერო კონგრესებზე დასასწრებლად დროგამოშვებით მიემგზავრებოდენ ხოლმე საზღვარგარედ და საბჭოთა კავშირის ფარგლებში. საანგარიშო პერიოდში ადგილი ჰქონდა 57 მივლინებას საზღვარგარეთ, 35 საბჭოთა კავშირში.

გარდა ამისა, ჩვენი მეცნიერები აწყობდენ სამეცნიერო ექსპედიციებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ამათუიმ საკითხის ან მოვლენის შესასწავლად და გამოსარკვევად. ეწყობოდა აგრეთვე საქართველოსა და საბჭოთა კავშირის სხვადასხვა პუნქტებში სტუდენტების სამეურნეო ექსკურსიები, რომელთაც ხელმძღვანელობას უწევდენ პროფესორები, დოცენტები და ლექტორები.

4. ერთერთი მთავარი საზრუნავი საგანი უნივერსიტეტის მეცნიერებისა არის მეცნიერთა ახალი თაობის აღზრდა. ჩვენ უკვე ვაჩვენეთ ზემოთ, სადაც პირად შემადგენლობაზე გვქონდა საუბარი, რიცხვი ასპირანტებისა, რომელთაგან ზოგი საზღვარგარეთ ემზადება, ზოგი კიდევ ტფილისში, უნივერსიტეტთან, ამათუიმ სპეციალისტების ხელმძღვანელობით. 32 კაცი, რომელიც დღეს უნივერსიტეტში დატოვებულია სამეცნიერო მუშაობისათვის მოსამზადებლად, ფაკულტეტობრივ ასეა დანაწილებული: პედაგოგიურზე 14, აგრონომიულზე 6, საექიმოზე 6, სოც ალ-ეკონომიურზე 5, პოლიტექნიკურზე 1.

5. უნივერსიტეტთან არსებობს სხვადასხვა სამეცნიერო ხასიათის წრეები, რომლებშიაც სტუდენტები პროფესორების, დოცენტების და ლექტორების ხელმძღვანელობითა და დახმარებით აწარმოებენ მეცნიერულ მუშაობას მოხსენებებისა და რეფეოატების სახით ამათუიმ საკითხზე თავიანთი სპეციალობიდან. ასეთი წრეები არის თვითეულ ფაკულტეტზე, სულ მათი რიცხვი ულრეს ათს, ესენია: იურიდიული, ეკონომიური, აგრონომიული, ტეხნიკური, მედიკური, საისტორიო, სალიტერატურო, საენამეცნიერო, საბუნებისმეტყველო და სამათემატიკო. ზოგიერთი ამ წრეთაგან იმდენად აფართოებს თავის მოქმედებას, რომ საკუთარ გამომცემლობასაც კი ეწევა, სახელმძღვანელოების გამოცემის სახით, ასეთია მაგალითად, ტეხნიკური წრე. საეროდ სამეცნიერო წრეების მუშაობა თანდათან მტკიცდება, ღრმავდება და პოპულიარული ხდება სტუდენტთა ფართო მასებში.

სამეცნიერო-დამხმარე დაწესებულებანი

უნივერსიტეტს აქვს თავისი დამხმარე დაწესებულებანი, როგორც ზოგადი საუნივერსიტეტო, ისე კერძო ფაკულტეტობრივი მნიშვნელობისა.

ზოგადი საუნივერსიტეტო მნიშვნელობის დაწესებულებაა უნივერსიტეტის წიგნთსაცავი, რომელიც მთავარი ძარღვია უნივერსიტეტის სამეცნიერო მუშაობისა და საქმიანობისა. უნივერსიტეტის წიგნთსაცავს საფუძველი ჩაეყარა უნი-

ვერსიტეტის დაარსებისთანავე. საზოგადოებრივმა ენტუზიაზმა აქაც იჩინა თავი, შემოწირულება შემოწირულებას მოჰყვა, საჩუქარი საჩუქარს, და მალე უნივერსიტეტის კედლებში თავი მოიყარა საკმაოდ დიდმა კოლექციამ. ამ მხრივ უნივერსიტეტს ხელს უწყობდა თვით მთავრობაც, რომელსაც არაერთი და ორი კოლექცია გადმოუცია მისთვის ამათუმ საზოგადოების ან დაწესებულების ლიკვიდაციის შემდეგ.

დღესდღეობით უნივერსიტეტის წიგნთსაცავში ითვლება 205,875 ტომი, აქედან 64138 ტომი ჟურნალებია.

უნივერსიტეტს მეცნიერული კავშირი აქვს სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებებთან, როგორც საბჭოთა კავშირის ფარგლებში, ისე საზღვარგარეთ, რომელნიც მას თავიანთ გამოცემებს უგზავნიან; რიცხვი ასეთი დაწესებულებებისა უდრის სამოცდახუთს, აქედან 35 დაწესებულება გზავნის თავის გამოცემებს უნივერსიტეტის გამოცემებზე გასაცვლელად.

ფაკულტეტობრივი მნიშვნელობის სამეცნიერო-დამხმარე დაწესებულებებია: ლაბორატორიები, კლინიკები, კაბინეტები, მუზეუმები, სადგურები და ინსტიტუტები· თვითეული ფაკულტეტი, მის განკარგულებაში არსებული თანხების ფარგლებში, სცდილობს მოაწყოს ასეთი დამხმარე დაწესებულება, შეაიარაღოს იგი როგორც საჭირო ხელსაწყოებით ისე სპეციალური წიგნთსაცავებით, რადგანაც მხოლოდ თეორიული, ლექციური მუშაობა, თუ მას არ ახლავს პრაქტიკული ვარჯიშობა ამ დაწესებულებებში, საკმარისი არაა; არას ვამბობთ იმის შესახებ, რომ ულაბორატორიოდ შეუძლებელია წმინდა მეცნიერული კლევა-ძიება, რაც მთავარი დანიშნულებაა უნივერსიტეტისა.

უნივერსიტეტის კუთვნილებას შეადგენს: 26 ლაბორატორია, 17 კლინიკა, 30 კაბინეტი, 6 მუზეუმი, 3 ინსტიტუტი, 1 საცდელი სადგური.

გარდა ამისა აგრონომიული ფაკულტეტის განკარგულებაშია მუხრანის სასწავლო მამული, როგორც მთავარი ბაზა სტუდენტთა პრაქტიკული ვარჯიშობისა და ფაკულტეტის სამეცნიერო-სასწავლო მოღვაწეობისა; კერძოდ ამ მამულთან არის მოწყობილი საცდელი ცხვრის ფარეხი და სელექციურ-ბოტანიკური ნაკვეთი. ამავე ფაკულტეტთან მიწად-მოქმედების კომისარიატი აწყობს ფართე მაშტაბის ზოოტეხნიკურ ინსტიტუტს, რომელშიაც ფაკულტეტი აწარმოებს სასწავლო სამეცნიერო მუშაობს.

საგამომცემლო კომისია

უნივერსიტეტს ჰყავს საგამომცემლო კომისია, რომელიც ხელმძღვანელობას უწევს მეცნიერულ შრომათა გამოცემას; ამ შრომებს ის აქვეყნებს როგორც ცალკე წიგნებად, ისე უნივერსიტეტის პერიოდულ ორგანოში, რომელსაც „უნივერსიტეტის მოამბე“ ეწოდება და რომელიც წელიწადში ერთხელ გამოდის 20—25 თაბახის რაოდენობით; დღევანდელ დღემდე გამოვიდა სულ რვა წიგნი ამ „მოამბისა“. ნაწილი უნივერსიტეტის გამოცემებისა იბეჭდება უნივერსიტეტის კუთვნილ ლითოგრაფიაში, მომეტებული ნაწილი კი ქალაქის სხვადასხვა სტამბებში.

პირველ რიგში იბეჭდება სახელმძღვანელოები, მერე სადოქტორო დისერტაციები და სამეცნიერო ხასიათის ნარკვევები. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში უნივერსიტეტს გამოუცია სულ 1036 დაბეჭდილი თექვსმეტგვერდიანი თაბახი, რისთვისაც მას მიუღია 56,476 მან.

უნივერსიტეტის ბიუჯეტი

უნივერსიტეტის არსებობის წყაროს შეადგენს სახელმწიფო ბიუჯეტით განკუთვნილი თანხა და სხვადასხვა ხასიათის შემოსავალი, რომელთა შორის პირველი ალაგი სასწავლო გადასახადს უკავია.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნივერსიტეტი ღებულობს, თანახმად ხარჯთაღრიცხვისა, ხელფასსა და საორგანიზაციო ხარჯების დასაფარავ თანხას. რაც შეეხება სასწავლო გადასახადს, ის მეტად უმნიშვნელო თანხას იძლევა (არა უმეტეს 40—50 ათასი მანეთისა წლიურად), რადგანაც ორთაშუა რიცხვი 60 პროც. სტუდენტობისა განთავისუფლებულია ამ გადასახადისაგან (1926—27 ს. წ. 70 პროც., მიმდინარე წელს 55 პროც.). ამ თანხის დანიშნულებაა გაძლიერება სახელმწიფო ბიუჯეტით მიცემული თანხებისა და ის იხარჯება, წინასწარ შედგენილი გეგმით უნივერსიტეტის სხვადასხვა საჭიროებათა, გარდა ხელფასისა, დასაკმაყოფილებლად. საერთოდ უნივერსიტეტის ბიუჯეტი ძალიან მცირეა და მისი სიმცირეა მთავარი მიზეზი იმ დეფექტებისა, რომელიც აუცილებლივ ახლავს უნივერსიტეტის ცხოვრებას.

უნივერსიტეტის ბიუჯეტი დღესდღეობით უდრის 800,000 მანეთს, აქედან სახელმწიფო ბიუჯეტზე მოდის 744,000 მანეთი, ხოლო 56,000 მ. შეადგენს სხვადასხვა სპეციალური თანხები.

პროფესიონალურ-კულტურულ მუშაობა

სახელმწიფო უნივერსიტეტში

(აღმასბიუროს საქმიანობა)

როგორც წარმოება-აღმშენებლობის დარგში, ისე განათლების ფრონტზედაც პროფკავშირების როლი დიდად მნიშვნელოვანია. ჩვენი პროფ-კავშირები მიუხედავად იმისა, რომ მათი მუშაობის მთავარი ძარღვი წარმოებისკენაა გადახრილი, საკმაო ენერგიას და შრომას ხარჯავენ განათლების დარგშიაც.

ოქტომბრის რევოლუციამდე პროფკავშირების მუშაობას შეადგენდა ბრძოლა თვითმყპრობელობის წინააღმდეგ 8 საათის სამუშაო დღის მოპოების და ხელფასის გაუმჯობესებისათვის. დღეს-კი პროფკავშირები აწარმოებენ გაცხარებულ მუშობას წარმოებაში ფაბრიკა-ქარხნებში აღმშენებლობის გზით, ხოლო განათლების ფრონტზე კულტურის გასაღვივებლად მუშათა ფართო მასებში. სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფსექციათა აღმასბიურო, რომელიც არჩეულ იქმნა გასულ წელს სტუდენტთა კონფერენციაზე მუშაობას აწარმოებდა

ერთ წლიანი წინასწარ გამომუშავებული გეგმის მიხედვით. აღმასბიუროს მიზანი იყო გაეღვივებია სტუდენტებში პროფესიონალურ-პოლიტიკურ-კულტურული მუშაობა, რათა სტუდენტობა ახლოს მდგარიყო პროფესიონალურ მუშაობასთან და ამ ნიადაგზე პროფ-კავშირების მხრიდან ქონოდა ღარიბ-გლეხ სტუდენტობას ეკონომიური დახმარება. აღმასბიურომ პროფესიონალურ-პოლიტიკური ხაზით ყველა მასზე დავალებები შეასრულა პირნათლად ასი პროცენტით,—რაც აღნიშნული იქმნა სტუდენტთა კონფერენციაზე. წინასწარ გამომუშავებულ გეგმის მიხედვით უნივერსიტეტში არჩეულ იქნა სტუდენტებიდან შემდეგი კომისიები: 1) საორგანიზაციო კომისია, 2) აკადემიური, 3) ეკონომიური და 4) კულტურული კომისია. ჩამოთვლილ ოთხ კომისიების ხელმძღვანელობა განაწილებულ იქმნა აღმასბიუროს წევრებზე. სანგარიშო წლის განმავლობაში პროფ-სექციათა აღმასბიუროს ქონდა 27 სხდომა სადაც გარჩეულ იქმნა 210 საკითხი, აქედან ორგანიზაციული 40, აკადემიური 32, ეკონომიური 70, კულტურული 30, სხვადასხვა 38. აღმასბიუროს პლენუმების პარალელურად მუშაობას აწარმოებდენ ცალ-ცალკე გამოყოფილი კომისიებიც. მაგ. ორგანიზაციულ კომისიას ქონდა სხდომა 5 ჯერ, აკადემიურს 4, ეკონომიურს 8, კულტურულს 5, საერთო კრება სტუდენტების მოწვეულ იქმნა სულ 8. აღმასბიუროს მუშაობის კალენდარულ გეგმას საფუძვლად ედვა ის პრაქტიკული ხასიათის მითითებები, რომლებიც მან მიიღო სტუდენტთა საერთო კონფერენციაზე. ასეთივე მტკიცე გეგმა მუშაობისა და პრაქტიკული წინადადებები ქონდა ცალ ცალკე პროფსექციებსაც. აღმასბიუროს თავის მუშაობის დროს მჭიდრო კავშირი ქონდა შემდეგ ორგანიზაციებთან: 1) პროლეტარულ ცენტრალურ ბიუროსთან, 2) განათლების კომისარიატთან, 3) ადგილობრივ უნივერსიტეტის პარტიის და კომკავშირის კოლექტივებთან (აღმასბიურო ყოველგვარ პრინციპიალურ საკითხებს სწყვეტდა პარტიის და კომკავშირის ბიურო-კოლექტივებთან ერთად) 4) ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობასთან. სტუდენტთა წარმომადგენლობის და გამგეობის შორის ხდებოდა სრული შეთანხმება, ყოველგვარ საჭირბოროტო საკითხებში. გამგეობა სტუდენტობას ყოველთვის ყოველგვარ საზრიან საკითხებში დიდ ანგარიშს უწევს, რამაც ხელი შეგვიწყო საერთო მუშაობის გაღრმავებაში. 5) ქალაქის საბჭოსთან. აღმასბიურო საბჭოსთან კავშირს აბამდა საბჭოს წევრ სტუდენტების საშუალებით. ქალაქის საბჭო დიდათ ეხმარებოდა აღმასბიუროს ღარიბ სტუდენტობისათვის ბინის შოვნაში და სხვა.

აღმასბიუროს დამოკიდებულება პროფკომებთან

აღმასბიუროს მუშაობის დამახასიათებლად გასულ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში უნდა იქნეს ჩათვლილი ხელმძღვანელობის სათანადო დონეზე აყვანა, რომელსაც აღმასბიურო უწევდა ცალ-ცალკე პროფკომებს. მთავარ პუნქტათ ამ ხელმძღვანელობაში უნდა იქნეს მიჩნეული მოხსენებათა გაკეთება პროფკომის თავმჯდომარეთა მიერ აღმასბიუროს პლენუმებზე. აღმასბიურო ამ მოხსენებების სათანადო შეფასების საფუძვლებზე აძლევდა დირექტივებს პროფკო-

მებს. აღმასბიურო სცდილობდა პროფკომების მუშაობაში მეტი ღარიბი სტუდენტობის ჩაბმას. ეს საქმე დღეს შესრულებულია სტუდენტთა საკეთილდღეოდ.

აკადემიური მუშაობა

ხელმძღვანელობა სტუდენტობის აკადემიურ ცხოვრების დარგში უწინარეს ყოვლისა გამოიხატება უნივერსიტეტის ცალ-ცალკე ფაკულტეტების დეკანატებში, საბჭოებში, საგნობრივ კომისიებში და გამგეობაში. ცალ-ცალკე ფაკულტეტებში და უნივერსიტეტის გამგეობაში წარმომადგენლობის მეშვეობით აღმასბიურო ახდენდა აკადემიურ ცხოვრების რაციონალურ საფუძვლებზე დამყარებას. აღმასბიუროს წარმომადგენლებს დავალებული ჰქონდათ დაახლოება და შემჭიდროება თეორიისა პრაქტიკასთან. ამ მიმართულებით აღსანიშნავია ცალკე ფაკულტეტების სამოსწავლო გეგმების განტვირთვა ისეთი საგნებისაგ ნ, რომლებიც ამძიმებდა და აფერხებდა სტუდენტთა აკადემიურ მუშაობას. ფაკულტეტებთან გამოყოფილი იყო აგრეთვე საგნობრივი კომისიები, რომლებიც შესდგებოდა ლექტორებისა და სტუდენტთა წარმომადგენლებისაგან. სამწუხაროდ აღნიშნულ საგნობრივ კომისიების მუშაობას არ გამოუღია ისეთი ნაყოფი, როგორსაც მოველოდით.

სტუდენტთა სამეცნიერო წრეები

სახელმწიფო უნივერსიტეტში ამ ჟამად არსებობს სულ 14 სხვადასხვა სამეცნიერო წრეები. ყველა ეს წრეები აერთიანებს სულ 2.000 წევრს. სამეცნიერო წრეებში კეთდებოდა მოხსენებები სხვადასხვა თემებზე, ეწყობოდა ექსკურსიები. სტუდენტთა უდიდესი ნაწილი თვალსაჩინო აქტივობას იჩენდა და დიდის ხალისით ეტანებოდა წრეებში მუშაობას.

პრაქტიკანტების და სტაჟიორების შესახებ

აკადემიურ წლის დასაწყისშივე იქმნა ზომები მიღებული, რომ სტუდენტობის უფრო მეტი რიცხვი ყოფილიყო გაგზავნილი პრაქტიკაზე. ამ მიზნით აღმასბიურო მიმართავდა კომისარიატების სხვადასხვა უწყებებს საჭირო ადგილების გამოსანახავად. გასულ წელს პრაქტიკაზე გაგზავნილ სტუდენტთა რიცხვი უდრიდა 167 კაცს; წელს ეს რიცხვი ავიდა 463 კაცამდე. აღმასბიურო იმ სტუდენტებს, რომლებიც იგზავნებოდა საქართველოს გარედ, აძლევდა ლიტერებთან ერთად ფულად დახმარებას. აღმასბიუროს დიდი ყურადღება მიაქცია ბიბლიოთეკის გაუმჯობესების და სამეცნიერო წიგნების შეძენის საკითხს. დღეს უკვე ვღებულობთ ბიბლიოთეკისათვის უნივერსიტეტის გამგეობიდან ყოველ თვიურად 1000 მანეთს. უნივერსიტეტის მდიდარი ბიბლიოთეკით სტუდენტობა ვერ სარგებლობდა საღამოობით ფსინათლობის გამო. დღეს ეს საკითხი მოგვარებულია. 26/27 სამოსწავლო წელს მოხდა სტუდენტთა აკადემიური წმენდა, რამაც შედეგად გამოიღო უნივერსიტეტის 810 კაცისაგან განტვირთვა, რომლებიც ზედმეტ ბალახს შეადგენდა უნივერსიტეტის ცხოვრებისათვის. 1920—21 წლებში იმ ფაკულტეტებზე, რომლებზედაც შემოღებული იყო მინიმუმების სისტემა, აბარებ-

და 40 პროცენტი, დღეს-კი მინიმუმებს აბარებს 87 პროცენტი, ამის ერთ-ერთი მთავარ მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს სტუდენტთა საერთო ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება.

კულტურული მუშაობა

იმისათვის, რომ უნივერსიტეტში წარმოებული ყოფილიყო კალენდარული მუშაობა, აუცილებელი საჭირო შეიქმნა კლუბი. დიდი მუშაობის შემდეგ უნივერსიტეტში მოწყობილ იქმნა ახალი კლუბი, სადაც ამ ჟამად სწარმოებს საკლუბო კულტურული მუშაობა. კლუბთან არსებობს შემდეგი წრეები: დრამწრე 50 კაცი, 2) ჰადრაკის—30 კაცი, 3) სასულე ორკესტრი—50 კაცი. 4) სიმებიანი ორკესტრი—60 კაცი, 5) მომღერალთა გუნდი—40, 6) რადიო-წრე—35, 7) ფიზკულტურის—150, აგრეთვე პროფმოძრაობის კურსები გაიარა—200-მა სტუდენტმა, ზემო აღნიშნულ წრეებს უშუალო ხელმძღვანელობას უწევდა კულტ-კომისია. ფიზკულტურის წრის გასაძლიერებლად გაღებულ იქნა 200 მანეთი. აგრეთვე შეძენილ იქნა რადიო და სასულე ორკესტრი. უნივერსიტეტში გამოდის კედლის გაზეთი, მაგრამ სტუდენტთა საკმაო რიცხვი არ ღებულობს მონაწილეობას. ექსკურსიები მოეწყო ზაჰესში, რუსეთის ქალაქებში და ბორჯომში. ოპერის და რუსთაველის თეატრის შეღავათიანი ბილეთებით ისარგებლა—1526 სტუდენტმა. ბიბლიოთეკიდან წიგნებით სარგებლობენ სისტემატიურად—5426 სტუდენტი. კულტურულ-პროფესიონალური მუშაობა უნივერსიტეტში გაცილებით მაღლა სდგას, ვიდრე წასულ წლებში.

ეკონომიური მუშაობა

აღმასკომის მუშაობის ერთ-ერთი მთავარი ნაწილი იყო მისი ეკონომიური მუშაობა. ამ დარგში მუშაობამ გამოიღო დიდი ნაყოფი ღარიბ სტუდენტთა საკეთილდღეოდ. სტუდენტთა მთავარი მოთხოვნილება, რომელსაც სჭირდება დახმარება მდგომარეობს შემდეგში: უღარიბეს პირთათვის სტიპენდიის დანიშვნა, ბინის საკითხის მოგვარება, ერთდროული დახმარება და სამკურნალო-სანატორიული დახმარება. განათლების კომისარიატმა სტიპენდიანტთა რიცხვი 206 კაციდან გაადიდა 276 კაცამდე. გარდა ამისა სტიპენდიას ღებულობენ ავტონომიურ რესპუბლიკებიდან და მაზრებიდან გამოგზავნილები. მაგ. საქართველოს სხვადასხვა მაზრებიდან არის—28 სტიპენდიანტი, აჭარისტანიდან—25, აფხაზეთიდან—14, და წითელი ჯვრის—3 კაცი. მუშფაკებიდან ახლად გადმორიცხული სტიპენდიანტები არის სულ—40 კაცი. სტუდენტობის უბინაობის საკითხი მეტად მწვავედ იდგა. ქალაქის აღმასკომმა გაუწია ამას ანგარიში და დაიწყო უნივერსიტეტის მახლობლად სტუდენტთათვის საერთო ბინის აგება. ამ მოკლე ხანში ეს ბინა დამთავრდება. აღმასბიურომ 120 სტუდენტი ჩაასახლა ყოფილ სემინარიაში. დახმარება სტუდენტთათვის განაწილდა მთელი წლის განმავლობაში შემდეგ ნაირად: ფულადი დახმარება გაიცა სულ—2319 მან., სესხად—4704—25 კაპ., უფასო სადილები დაჯდა—5705-20 კაპ., წიგნები—4800 მ. აღნიშნულ დახმარებებში მნიშვნელოვანია უფასო სადილებზე დახარჯული თანხა—570-20.

ამ ფულით ნაყიდია 110 სადილი ყოველდღე. ე. ი. 14.336 სადილი, რომლითაც იკვებებოდა—1605 ღარიბი სტუდენტები. უღარიბეს სტუდენტობას დაურიგდა 4.500 მ. წიგნები-სახელმძღვანელოები (1500 ცალი წიგნი) ლიტერები გაცემულია სულ. 9.300 ცალი. სტუდენტთა კვირეულის ჩატარების დროს შემოვიდა სულ 8,000 მან. აქედან აღმასბიურომ მიიღო ფულად—2,000 მან. კვირეულის ჩატარების დროს მუშკომმა გადმოგვცა თხუთმეტი უფასო ადგილი მუშკომის წევრობისა, სადაც ჩაეწერა 15 სტუდენტი.

საექიმო დახმარება

სტუდენტებს საექიმო დახმარება ეძლეოდათ ყველა სარაიონო ამბულატორიიდან ქალაქის პოლიკლინიკიდან და ყველა საავადმყოფოებში, ახლო მომავალში კი თვით უნივერსიტეტში იქნება ამბულატორია. სხვადასხვა სანატორიებში გაიგზავნა სულ 25 სტუდენტი. საექიმო დახმარების და კურორტებზე გასაგზავნ ხარჯების დასაფარავად აღმასბიურომ მიიღო სულ—16.874-98 კაპ. აქედან 7751 მან. სასწავლო გადასახადების შემოსავლიდან და 9123—98 შემოწირულებებიდან. უკანასკნელ ხანებში ღარიბ სტუდენტობის დახმარების საქმე ნაყოფიერად მიმდინარეობს. ეს დახმარება არ არის ვიწრო ფარგლებში, რომელიმე ჯგუფში, არამედ არის მასიური ხასიათისა. ეს შეიძლება უმთავრესად ორი გზით: 1) სტიპენდიანტთა რიცხვის გადიდებით და, 2) ერთდროულ დახმარებებით იმ სტუდენტთათვის, რომლებსაც არ მოუწევს სტიპენდია. სტუდენტთა რიცხვის ზრდასთან პროცენტულად უნდა გაიზარდოს სტიპენდიები ანუ სტუდენტთა ეკონომიური დახმარება. სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა რიცხვი ყოველ წლობით ძალიან იზრდება. პროფკავშირობის მიხედვით სტუდენტობა ასეა დაყოფილი: საბჭოთა და სავაჭრო კავშირის წევრები—634 კაცი. მედსან-შრომის კავშირის წევრები—554, განათლების—446, მიწა-ტყის—390. რკ. გზის 223 და სხვა. სულ უნივერსიტეტში არის—2846 კავშირის წევრები. ყველა იმ ძირითად საკითხების განხილვის შემდეგ, რომლების გადაჭრის გარშემო მუშაობა უხდებოდა აღმასბიუროს. (ორგანიზაციული საკითხები, აკადემიური, კულტურული და სხვა) შეიძლება ითქვას, რომ მთელი ერთი წლის განმავლობაში აღმასბიურო ყოველგვარ ღონისძიებებს მიმართავდა უმნიშვნელოვანესი ამოცანის ცოტათ-თუ ბევრად მისაღწევად, რომელსაც ჩვენი სტუდენტობის აკადემიური და კულტურული დაწინაურების საქმისათვის სათანადო მდგომარეობის შექმნა ეწოდება პროფესიონალურ-კულტურულ ფრონტზე.

კოტე გოგიბერიძე

პროფესორი ნიკოლოზ სავლეს-ძე კახიანი.

ჟურნალს ვკრავდით როდესაც ვავიგეთ იშვიათ ადამიანის, უნიჭიერეს დოსტაქარის და ქართულ მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენლის პროფ. ნ. ს. კახიანის გარდაცვალების თავზარდამცემი ამბავი.

პროფ. ნ. ს. კახიანი დაიბადა 1884 წ. მან, ჯერ კიდევ მეორე კურსის სტუდენტმა, მიიქცია ოდესის უნივერსიტეტის პროფესორის, ანატომიის უდიდეს ავტორიტეტის, ბუტაევის ყურადღება, და უმაღლეს სასწავლებლის დამთავრების შემდეგ 1910 წ. დატოვებულ იქნა უნივერსიტეტთან. 1911 წ. კახიანი აირჩიეს ოდესის უნ-ტის პროზექტორათ. 1916 წ. მიწვეულ იქნა ეკატერინოსლავის უნივერსიტეტში პროფესორად და დაიჭირა ტოპოგრაფიულ ანატომიის და ოპერატიულ ქირურგიის კათედრა.

1919 წ. პროფ. კახიანი მოწვეულ იყო საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორად, სადაც ის მოღვაწეობდა სიკვდილამდე და რომლის არსებობის 10 წლის თავი სამართლიანად უნდა ეზეიმნა მასაც.

10 წელი შეუსრულდა სახელმწიფო უნივერსიტეტს და ამ ხნის განმავლობაში განსვენებული პროფესორი იყო მისი ერთი უერთგულესი მუშაკთაგანი.

პროფ. კახიანის დაკარგვა კერძოდ საექიმო ფაკულტეტისათვის მართლაც რომ აუნაზღაურებელია. მის მიერ აღზრდილ ექიმთა თაობა, და ის ახალგაზრდა დოსტაქრები, რომლებიც ყოველ მის ოპერაციაზე ხვდებოდენ და სწავლობდენ ამ ძნელი საქმის საიდუმლოებას, განსაკუთრებული სიმწვავით იგრძობნენ თავის მასწავლებლის ხელიდან გამოტაცებას.

იშვიათი დოსტაქრულ ნიჭის და მეცნიერულ ინტუიციის პატრონი პროფ. კახიანი იშვიათი იყო როგორც ადამიანი.

ნიკოლოზ სავლეს-ძე იყო ადამიანი, რომელშიაც ჰარმონიულად შეზავებული ნიჭი და ზნეობრივი სიფაქიზე მომაჯადოებელ პიროვნებად ჰქმნიდა მას.

„განათლების მუშაკის“ რედაქცია მწუხარებას გამოსთქვამს იშვიათ ადამიანის დაკარგვის გამო და თანაგრძნობას უცხადებს ჩვენ ნორჩს უნივერსიტეტს.

დღიანი.

ქართული ენის სწავლებისათვის სკოლაში.

შკანასკნელ ხანებში ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე რამდენიმე წერილი იქნა მოთავსებული ქართული ენის სწავლებისა და მდგომარეობის შესახებ ჩვენს სკოლებში. ეს ძლიერ სამხიარულო მოვლენად უნდა ჩაითვალოს, მხოლოდ, ვფიქრობ, ამ წერილებში მაინც ვერ ვპოვე მე ჩამოთვლა სრულად იმ ძირითადი დაბრკოლებებისა, რომელთა გადალახვაა საჭირო, რომ საქმე გამოსწორდეს და აწორი მიმართულებით წავიდეს. საკითხი კი ისე რთულია, რომ მასზე, მის გარშემო სერიოზული მსჯელობა უსათუოდ საჭიროა. საქმე ის არის, რომ ჩვენ უკვე საკმაო მანძილი განვლეთ ახალი სკოლის ატმოსფერაში. თუ ჩვენ ეხლა მთელს ამ წასულს მუშაობას გადავხედავთ, აღმოვაჩენთ, რომ იქ იმ უმრავ გაკვეთილებში, რომლებიც ჩაგვიტარებია, ბევრს აღმოვაჩენთ ისეთს, რომელიც გაკვეთილი იყო არა მარტო მოწაფისათვის, არამედ „გაკვეთილი“ იყო ჩვენთვისაც. მეორე მხრივ ხომ არსებობს მეთოდები საერთოდ ენისა და ლიტერატურის შესწავლისა, რომელთა გასინჯვა და რევიზიაა საჭირო ჩვენი ლიტერატურის სკოლაში შესწავლის გზების ძიების თვალსაზრით. ამიტომ მეც მოვისურვე გამეზიარებინა მკითხველისათვის ჩემი შეხედულებანი, რომლებიც ჩემივე პირადი გამოცდილებით იქნებოდა ნაკარნახევი.

წინდაწინე შევთანხმდეთ და ვიგულისხმოთ ქართული ენის სწავლების ქვეშ მთელი ის საქმიანობა, რომელსაც ეწევა ქართულ სკოლებში ქართული ენის მასწავლებელი. ძაშინ ქართულის, მშობლურ ენის შესწავლის საკითხი ერთი ან ორი თვალსაზრისით კი არა, მრავალმხრივ წარმოდგება ჩვენს წინ. საჭიროა ეს მხარეები მკაუიოდ გამოიკვეთოს პირველყოვლისა, რომ უფრო ადვილი დარჩეს მსჯელობაც და მისი შედეგებიც ნაყოფიერი. ამიტომ ჯერ შევეხოთ საკითხს დასამუშავებელ და შესასწავლ მასალის შესახებ. ვფიქრობ რომ აქ უთუოდ დიდი თვითხებობაა. თვითეულ მასწავლებელს თავისი შეხედულება აქვს დასამუშავებელ მასალის როგორც მოცულობის, ისე თვისების შესახებ. მას თვითონ გამოუმუშავებია (ვინ უწყის რატომ) როგორც რაოდენობითი ისე თვისებითი საზომი ამა თუ იმ ჯგუფში შესასწავლ მასალისა. ზოგიერთი მასწავლებელი ასწავლის, ვსთქვათ, აკაკის ლიქსს „პოეტი“ და ილიას შემოქმედებიდან მე-5-ე ან მე-6-ე ჯგუფში (ასეთი შემთხვევები ბევრი ვიცი ძლიერ) და მასთან ერთად უმარტავს საკითხს „პოეტსა და პოეზია“-ზე, ხშირად საკითხს „ხელოვნება ხელოვნებისათვის თუ ხელოვნება ცხოვრებისათვის“. აქ იმდენად აშკარაა სქოლასტიური ხასიათი სწავლებისა და მისი, თუ გინდ, ამდენადვე მიუღებლობა, რომ სიტყვის გაგრძელება ზედმეტია.

მეორე ადგილას ამ ნაწარმოების სრული ექსტირპაცია ხდება სასწავლო მასალიდან.

ერთი და იგივე ნაწარმოები ხომ მეშვიდე ჯგუფშიდაც ისწავლება და მეცხრეშიდაც; სრულიად არ არის გარკვეული ის, თუ რით უნდა განსხვავდებოდეს დაახლოებით ერთისა და იმავე მასალის დამუშავება დასახელებულ შემთხვევის დროს. არავინ იცის, როგორი ადგილი უნდა ეჭიროს მასალის დამუშავებისას ესთეტიურ მომენტს, ლოღიკურს, კრიტიკულ-გარჩევითს ან სოციალურს და ასე შემ. ამიტომ უნდა განვიხილოთ: 1) მასალის სათანადო ჯგუფისათვის შერჩევის სახელმძღვანელო გეგმა, 2) მისი თანამიმდევრობა, 3) მეთოდები შერჩეულ მასალის დამუშავებისა, (რამდენიმე წერილი უკვე იყო ჩვენ ჟურნალში მოთავსებული ამაზე იხ. №№ 1, 2, 4, 6. ამავე ჟურნალის, ვ. ხუროძის წერილები*) ქართულ პედაგოგიურ პრესაში უახლოეს დროში, რამდენადაც ვიცი უკანასკნელი თვალსაზრისით განხილული არაფერი ყოფილა.

ამ საკითხების მოგვარების შემდეგ უნდა გამოირკვეს უკვე ის, თუ 4) რომელი ენა კილოკავი იქნეს მიჩნეული ისეთად, რომლის დაცვას უნდა ხელი შეუწყოთ.

5) ყოველივე ამაში რომ გაეერკვეთ, ვერას გავხდებით მაინც, თუ ძველი მდგომარეობა დარჩა: მე მინდა მოგახსენოთ მასწავლებლის შერჩევაზე. უნდა შევქმნათ უთუოდ თავისთავის წინაშე პასუხისმგებლობის ატმოსფერა. უნდა იგრძნოს ყველამ ვისაც მოესურვება იმას არ შეიძლება მიეცეს ამ საქმიანობის წარმოების უფლება სკოლაში. მაგრამ როგორ მოხდება ეს? ამაზე ქვევით.

6) არ შეიძლება არ აღინიშნოს ის დიდი გავლენა, რომელსაც ახდენს მოზარდის ენის გამომუშავებაზე სხვადასხვა საგნის მასწავლებელი. მე აქაც საკმაო დაბრკოლებასა ვხედავ საქმის სასურველად დაგვირგვინებისათვის (ეს სხვებმაც აღნიშნეს ჩვენს ჟურნალში. იხ. № 7) რაში მდგომარეობს ეს ზეგავლენა და როგორ ავიცილოთ,—ამაზედაც შემდეგ.

7) და ბოლოს (თუმცა თავის მნიშვნელობით ეს პირველთაგანია) წერითი მუშაობის საკითხი. ყველა განვიცდით იმ ნაკლს, რომელიც ამ მხრივ ჩვენს მუშაობასა აქვს და ესეც კიდევ იმიტომ, რომ არ არის ჩამოყალიბებული გეგმა და ხასიათი წერითი მუშაობისა საერთოდ და ამა თუ იმ ჯგუფში კერძოდ.

აი ის ძირითადი საკითხები ჩემის აზრით, რომლებიც სდგას ყოველი საქმიანი პედაგოგის წინ და რომელთა გარკვევაა საჭირო, რომ, როგორც ვსთქვი, ქართული ენის სწავლების საქმე წინ წავსწიოთ. ამიტომ შემდეგი წერილების შინაარსი იქნება თვითეული კითხვის ცალცალკე განხილვა.

---

*) უნდა აღინიშნოს, რომ ეს წერილები მაინც ვერ გვაძლევს წარმოდგენას (სხვა მხრივ რომ ჯერ არ შევეხოთ) იმის შესახებ, თუ რომელ ჯგუფის ბავშვებთან შეიძლება ამ გზით მეცადინეობა, ამას კი, როგორც უკვე აღვნიშნე დიდი მნიშვნელობა აქვს.

ილ. კილაძე

ბიბლიოთეკა და თვითგანვითარება*)

გარდა თვითგანვითარებითი ბირთვის წიგნებისა, ბიბლიოთეკამ უნდა შეადგინოს წიგნების კატალოგები იმის მიხედვით, თუ მკითხველთა როგორი მასა ჰყავს ამა თუ იმ ბიბლიოთეკას. ხშირად ხდება, რომ ბიბლიოთეკა ეტანება მეტად იმ წიგნების შეძენას, რომლებზედაც მეტი მოთხოვნილებაა (განსაკუთრებით მხატვრულ ლიტერატურაში). წიგნებზე მკითხველების ძხრივ ძლიერი მოთხოვნილება კარგი საქმეა, მხოლოდ ეს მოთხოვნილება არ შეიძლება საზომად დაედოს კომპლექტების შევსებას და ამა თუ იმ წიგნის რიცხვის განსაზღვრას ბიბლიოთეკაში. პირველ რიგში შეძენილი უნდა იქნეს და შევსებული კომპლექტები ისეთი წიგნებით, რომლებიც კრიტიკულად შემოწმებული და გამოცდილი შედის ბიბლიოთეკის ძირითად ბირთვში. ეს წიგნები უნდა იქნეს პირველ რიგში მიწოდებული მკითხველისადმი და დანარჩენი წიგნები კი უნდა ეძლეოდეთ მკითხველებს მხოლოდ მოთხოვნის შემდეგ.

თვითგანვითარებაში ბიბლიოთეკის მუშაობის ერთ-ერთ ამოცანას შეადგენს აგრეთვე თვითგანვითარების კუთხის ჩამოყალიბება. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ეს კუთხე უნდა ატარებდეს არა მარტო გამოფენის ხასიათს, არამედ, უნდა წარმოადგენდეს იმ ადგილს, სადაც მუდამ სწარმოებს მეცადინეობა და კონსულტაცია; აქ უნდა მოიპოვებოდეს სხვადასხვა მასალები და სახელმძღვანელოები; თვითგანვითარების კუთხე მუდამ უნდა ივსებოდეს ახალი მასალებით და ის უნდა იყოს თვითმოსწავლეთა მუშაობის გამოცდილების გამომსახველი.

ბიბლიოთეკის მუშაობაში შემდეგი საკითხი არის, თუ როგორ უნდა იყოს დაყენებული მუშაობა თვითგანვითარებით ჩვევების დარგში, როგორიცაა, მაგალითად: როგორ უნდა ვისარგებლოთ სტატისტიკური ცხრილებით, დიაგრამებით, ცნობარებით, სიტყვარებით. სქემებით, გეოგრაფიული რუქით. როგორ უნდა მოვიბმინოთ და ვემზადოთ მოხსენებისათვის, წრისათვის და სხვ.

რომ ეს თვითგანვითარებითი ჩვევები პრაქტიკულად გატარებული იქნეს ცხოვრებაში, საჭირო არის შედგენილ იქნეს მეთოდიური მითითებანი და კითხვარები ცალკე წიგნებზე; ლიტერატურის გავრცელება თვითგანვითარების მეთოდებით; უნდა შესდგეს მეთოდიური პლაკატები, მოეწყოს ზეპირი კონსულტაცია და საუბრები.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მომენტების გასატარებლად ბიბლიოთეკაში უნდა მოეწყოს თვითგანვითარების კონსულტაცია, რომლის შინაარსიც შეიცავს:

---

*) იხ. „განათლების მუშაკი“ № 9.

1) ცალკე მკითხველთა შეკითხვებზე პასუხის გაცემა; 2) საუბრები, რომლებიც გააღრმავებს თვითმოსწავლის ცოდნას და შეაფასებს განვლილ მუშაობას; 3) მითითებანი და დავალებანი წომავალი მუშაობისათვის.

ზეპირი კონსულტაციის გარდა უნდა სწარმოებდეს წერილობითი კონსულტაცია: საფოსტო ყუთი, კითხვა-პასუხის წიგნი, პლაკატები და სხვ. კონსულტაციაში გამოყენებულ უნდა იქნეს თვითგანვითარების ბიუროს მიერ მიველინებული კონსულტანტი, შეძლებისდაგვარად კი ბიბლიოთეკის მომუშავენი და სხვა კულტურული ძალები.

გარდა წრეებისა და ერთეულებისადმი დახმარებისა, ბიბლიოთეკა უნდა ეხმარებოდეს აგრეთვე, თვითგანვითარების მესამე დარგს—დაუსწრებელი სწავლების (Заочное обучение) საქმეს. ბიბლიოთეკა უნდა ეწეოდეს აგიტაციას დაუსწრებლივი სწავლებისათვის, მის პოპულარიზაციას და შემდეგ შეძენილ უნდა ქონდეს სხვადასხვა დაუსწრებელი კურსები (აუდიტორიის მოთხოვნილების მიხედვით) და სახელმძღვანელო მასალები.

ერთ-ერთ აუცილებელ პირობას ბიბლიოთეკაში თვითგანვითარების საქმის სათანადოდ დაყენებისათვის წარმოადგენს ბიბლიოთეკაში მკითხველთა შესწავლა, რისთვისაც გამოყენებულ უნდა იქნეს, როგორც სტატისტიკური მეთოდი, ისე პოლიტ-განმანათლებელი მუშაობის ცოცხალი ფორმები (სალიტერატურო საღამოები, დისპუტი, საუბარი მკითხველებთან და სხვ.).

რამოდენიმე სიტყვა მოძრავ ბიბლიოთეკების შესახებ. მოძრავი ბიბლიოთეკა წარმოადგენს ბიბლიოთეკის მუშაობის ერთ-ერთ ფორმას, მის ფუნქციას, რომელიც მოწოდებულია ამა თუ იმ მუშათა ორგანიზაციის სამსახურისათვის და, მაშასადამე, არ შეიძლება ის სხვაგვარ რამეს წარმოადგენდეს, ვიდრე თვით ბიბლიოთეკა. ამისათვის მოძრავი ბიბლიოთეკაც უნდა მოქმედობდეს თვითგანვითარების მეთოდებით და პრინციპებით.

რაც შეეხება ბიბლიოთეკის მხრივ თვითგანვითარების ბიუროში მონაწილეობის მიღებას, ბიბლიოთეკის წარმომადგენელი უნდა შედიოდეს ბიუროში, რომელშიაც მის გარდა შევლენ (მუშათა კლუბებიან და განათლების სახლებთან) კლუბების ან გან. სახლების გამგეობის წევრები, ახალგაზრდათა სექციის წარმომადგენელი და ორი კონსულტანტი ინჟენერ-ტეხნიკური ძალებიდან.

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ ,რომ აქ ჩამოთვლილი ამოცანები სავსებით ვერ ამოსწურავს ყველა იმ საკითხებს, რომელთაც თვითგანვითარება უყენებს თვითეულ ბიბლიოთეკას და განსაკუთრებით მუშათა ბიბლიოთეკებს და მათ მომუშავეთ, მაგრამ აქ დასახული ელემენტარული მოთხოვნილებანიც თუ არ იქნა შესრულებული, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ თვითგანვითარების საქმეც ბიბლიოთეკაში წინ ვერ წაიწევს.

ლიტერატურა. ლიტერატურა ქართულ ენაზე, რომელიც ეხებოდეს ბიბლიოთეკაში თვითგანვითარების საკითხების დაყენებას, თითქმის სრულებით არ მოიპოვება. ამისათვის დავასახელებთ ზოგიერთ ბროშურებს და ჟურნალებს რუსულ ენაზე. თუმცა უნდა ითქვას, რომ ჯერჯერობით რუსულ ენაზედაც მეტი მასალები მოიპოვება სხვადასხვა სპეციალურ ჟურნალებში, ვიდრე ბროშურებში.

1. „Библиотечная работа и Самообразование". Методическое письмо—Главполитпросвета. Издание „Долой негр." 1927 г. 40 стр. Цена 25 коп.
ბროშურაში მოცემულია რეალური შესაძლებლობათა ფორმები თვითგანვითარებითი მუშაობაში, ცალკე საკითხების ლიტერატურაზე მითითებით.
2. Руднев, А. „Как проводить Самообразовательную работу в библиотеке. Издание Смоленской Центр. библиотеки 1926 г. 20 стр.
წიგნაკში სწორად არის დასახული მუშაობის მინიმუმი საერთო ფორმებში.
3. Цареградский, Н.—„Библиотека и Самообразование". Изд. „Долой негр." 1927 г.

ჟურნალები

1. „Помощь самообразованию". Ежемесячный орган агитпропа ЦК ВКП (б) отдела помощи самообразованию Г. П. П. Политпросвета ЦК ВЛКСМ. 4-ый год издания—6 руб. в год без приложения и 8 р. 50 к. с приложением. Адрес: Москва, Воздвиженка № 10/2.
ჟურნალი მდიდარია მასალებით და მიზნათ ისახავს უფრო მეტათ ემსახუროს ხელმძღვანელებს. დამატებაში წლიურ ხელმომწერლებისათვის აქვს სათვითგანვითარებო საკითხებზე საუკეთესო წიგნები.
2. „Красный библиотекар".
სპეციალური ჟურნალი, რომელშიაც სისტემატიურათ შუქდება საბიბლიოთეკო მუშაობის ყოველგვარი საკითხები.
3. „Культурный фронт"—орган культработы профсоюзов, издание Моск. Губ. Совета Проф. союзов.
4. „Книга и профсоюзы". პოლიტ-განათლების მთავარმმართველობის სახელმძღვანელო ორგანო. ჟურნალს აქვს თვითგანვითარების განყოფილება.
5. „Коммунистическое просвещение". აუცილებელი საჭირო სახელმძღვანელო ჟურნალი თვითეულ ბიბლიოთეკებისათვის, განსაკუთრებით კი საკავშირო ბიბლიოთეკებისათვის. მდიდარი ბიბლიოგრაფიული ცნობებით.

სრულიად საქ. განათლების მუშაკთა კონფერენცია.

სრულიად საქართველოს განათლების ნუშაკთა რესპუბლიკანური კონფერენცია გაიხსნება 27 თებერვალს, დღის 12 საათზე განათლების მუშაკთა სახლში

დღის წესრიგი:

1. ც. გამგეობის საანგარიშო მოხსენება;
2. განსახკომის 5 წლიანი საპერსპექტივო გეგმა;
3. კავშირის მასიური მუშაობა.

ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

„მასწავლებლის კალენდარი-ცნობარი“. 1928 სასწ. წლისათვის. შედგენილი პ. ჯაწიშვილის და ლ. ზამბახიძის მიერ. გამოცემა „განათლების მუშაკისა“. ქ. ტფილისი 1928 წ. გვ. 158. ფასი 1 მანეთი.

ყველამ კარგად უწყის, თუ როგორი ინტერესით ეკიდება დღეს ჩვენი სკოლების მასწავლებლობა როგორც სასკოლო, ისე სხვა დანარჩენ კულტურულ-განმანათლებელ და საზოგადოებრივ საქმეებს. დღეს ის იმდენად გადატვირთულია ამ მუშაობით, რომ ყოველდღიურ მუშაობაში საჭირო ელემენტარული ცნობების მისაღებად სიტყვარების და წყაროების გადაფურცვლაც მისთვის დროს უქონლობის გამო დიდ სიძნელეს წარმოადგენს.

ხშირად კი ასეთებიც (სიტყვარები) არ მოეპოვებათ, განსაკუთრებით სოფლად მომუშავეებს.

ამისათვის, ცხად ა, მასწავლებლისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს თან ჰქონდეს მოკლე „ცნობარი—კალენდარი“. რომელშიაც ის იპოვნის საჭირო ელემენტარულ დამუშავებულ ცნობებს, განმარტებებს და სხვა მასალებს. მაგ. ამ, სანწუხაროდ, დღემდე არამც თუ ქართულად, არამედ რუსულ ენაზედაც ათეული წელი გადის არ გამოცემულა ასეთი ცნობარი, რაც, ცხადია, რომ მასწავლებლის ყოველდღიურ ინტენსიურ მუშაობაზე თავის დაღს ასვამდა. წინამდებარე „კალენდარი—ცნობარი“ საუკეთესო ცდას წარმოადგენს იმისათვის, რათა ქართული სკოლის მასწავლებელს მიაწოდოს ადგილობრივი, საბჭოთა საქართველოს სინამდვილის ცნობებით შევსებული „ცნობარი“. წინასწარ შეიძლება იმის თქმა, რომ მთელი ასი პროცენტით არ შეუძლია დააკმაყოფილოს მასწავლებლობის მოთხოვნილება, განსაკუთრებით ასეთ პირობებში გამოცემულმა „ცნობარმა“, მაგრამ ამავე დროს ისიც უნდა აღვიაროთ, რომ გამომცემლის მიერ ალებული მისია სწორია და მისალმების ღირსია.

„ცნობარი“-ს უმეტესი ნაწილი (100 გვერდამდე) კანონიერად მიძღვნილი აქვს სკოლაში უშუალო მუშაობის საქმეს, როგორიცაა: გაკვეთილების და მეცადინეობის განრიგება; ჯგუფის მუშაობის აღრიცხვა; განაკვეთები; ექსკურსია; სასკოლო საბჭოს დადგენილებები, საზოგადოებრივი მუშაობა და სხვ.

„ცნობარში“ მოთავსებულია თვითეულ განათლების მუშაკისათვის საჭირო ცნობები და უკანასკნელ ხანებში მიღებულ დადგენილებათა ამონაწერები, როგორც, მაგ. შრომის გმირობის შესახებ მთავრობის უკანასკნელი დადგენილება, ამავე საქმის შესახებ ოზოვნის აღძრის წესი; სოციალური დაზღვევის და პენსიების მიღების წესი; კავშირის წესდებიდან ამონაწერი და სხვა. საინტერესო ცნობები არის მოთავსებული აგრეთვე საქართველოში სახალხო განათლების ქსელის შესახებ ცხრილებით; საბჭოთა კავშირის ადმინისტრატიული დაყოფა და სხვ.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ხსენებული გამოცემა საკმაოდ დალაგებულ მასალებიან „ცნობარს“ წარმოადგენს, მაგრამ, როგორც პირველი გამოცემა, ზოგიერთ დეფექტებს, რასაკვირველია ვერ არის აცდენილი.

პირველადვე თვალებში გეცემათ წიგნაკის ძალზე პატარა ფორმატი. რასაკვირველია, უბის „ცნობარი“ ზომაზე მეტი უხერხულია, მაგრამ ვფიქრობ, წინამდებარე „ცნობარი“ ზომაზე ნაკლებია, რის გამოც მასში შეტანილი ზოგიერთი გრაფები ფორმალურ სახეს ატარებს და შიდ ჩაწერა რისიმე კი სივიწროვის გამო ძნელია.

საჭირო იყო მეტი ყურადღების მიქცევა კორექტურისათვის. როგორც დამახინჯებული სიტყვების, ისე, აქა-იქ დამახინჯებული აზრის გასასწორებლად. მაგალითები: ხოდინკის კატასტროფა 1896 წლის ნაცვლად ნაჩვენებია 1897 წელში.

პირველი მაისობა ტფილისში აღნიშნულია 1828 წ.—1898 წლის ნაცვლად. გლეხების დიდი აჯანყება ინგლისში 1981 წ. 1381 წლის ნაცვლად. ან კიდევ როგორიცაა მაგ, მე-124, 138, 149, გვერდებზე და სხვ.

არის აგრეთვე, თუმც იშვიათად, არასწორი თერმინები ნახმარი, როგორც 122 გვ.—„მატერიული მდგომარეობის გაუმჯობესება“. და სხ.

ქრონოლოგიაში არ არის შეტანილი ისეთი მნიშვნელოვანი დატები როგორიცაა: მოსკოვის და ლენინგრადის უნივერსიტეტების დაარსება;

ლენინზე პირველი თავდასხმა; დეკრეტი წითელი არმიის შექმნის შესახებ; რუსეთში ახალი სტილის შემოღება; ჰ. ჰეინეს გარდაცვალება; კრონშტადტის აჯანყება 1921 წ.; ა.-კ. ფედერაციის დაარსება; ნიკოლოზ II დახვრეტა და სხ.

გარდა ამისა ცნობარი ცოტა არ იყოს დაგვიანებით არის გამოცემული რაც ხელს შეუშლის მის მასწავლებელთათვის თავის დროზე მიწოდებას.

უნდა ვიმედოვნოთ, რომ მომავალში გამოცემის დროს უკუგდებულ იქნება ყველა ის დეფექტები, რომელთაც დღეს ადგილი აქვს მასში.

ილ. კ.

„ამხანაგი“, კალენდარი და უბის წიგნი მოსწავლეთათვის 1928 სასწავლო წლისათვის. გამოცემა „განათლების მუშაკისა“ ქ. ტფილისი. ფასი 1 მან.

მოსწავლის მუშაობის თვითორგანიზაციას, მისი ყოველდღიური მუშაობის გეგმიანობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, როგორც მის სკოლაში მუშაობის წარმატებაში, ისე საერთოდ საზოგადოებრივ პოლიტიკურ და კერძო ცხოვრების უკეთესად მოწყობის საქმეში. დღევანდელი საბჭოთა შრომის სკოლაც მოსწავლეს ყოველმხრივ ხელსუწყობს ერთი მხრივ კოლექტიური მუშაობისადმი მისწრაფებაში და მეორე მხრივ-ყველა წვრილმან მუშაობაშიაც კი მიუთითებს გეგმიან მუშაობაზე, თვითორგანიზაციაზე რათა მოწავლეს შეეძლოს საერთო კოლექტივისათვის საკითხების (განაკვეთების) თავის დროზე ცალკე დამუშავება.

ზემოხსენებული „მოსწავლის ამხანაგი“, რომელიც პირველად გამოდის მოსწავლეთათვის ქართულ ენაზე, უდიდეს ორგანიზაციულ-ხელმძღვანელობითი სამსახურს გაუწევს მათ, რათა თავიანთი ყოველდღიური მუშაობა ჩააყენონ გეგმიანობის რეჟიმის კალაპოტში. თითქმის მისთვის ყველა საინტერესო კითხვებზე მოწაფე იპოვის მასში მოკლე ახსნა-განმარტებებს.

მოსწავლე აქვე ნახავს კალენდარულ ცნობებს ამა თუ იმ ღირშესანიშნავი ისტორიული ფაქტების დატის შესახებ.

სამუშაოთ გამზადებული ფურცლები გრაფებით მოსწავლეს თვითვე მიუთითებს, თუ რა უნდა აკეთოს მან სკოლაში მუშაობასთან დაკავშირებით: საზოგადოებრივი მუშაობის შესახებ, წერითი მუშაობის, გჩსკურსიების, საკუთარი ბიბლიოთეკის, პიონერთა რგოლის, გაკვეთილების განრიგების და სხვათა შესახებ.

ძლიერ საჭირო ცნობები არის მოთავსებული სასკოლო ორგანიზაციების შესახებ (პიონერთა, ალ. კ. კ. ორგანიზაციული საკითხები და სხვ.); საბჭოთა ცნობარი, ფიზიკის ძირითადი კანონები, ალგებრის და ტრიგონომეტრიის ფორმულები, მეტრიული სისტემა შედარებითი ცხრილით, სასარგებლო რჩევა-დარიგებანი და სხვა.

სასარგებლო მოვლენად უნდა ჩაითვალოს გონებრივი მუშაობის გიგიენის საკითხების მოწაფეების წინაშე დასმა. მოწაფე აქ გაეცნობა ელემენტარულ ცნობებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მუშაობა, დასვენება, კითხვა წესების მიხედვით და სხვ.

წიგნაკის ნაკლად უნდა ჩაითვალოს შემდეგი გარემოებანი:

1. გამომცემელს ნაკლები ყურადღება მიუქცევია კორექტურისათვის, რის გამოც საგრძნობი შეცდომები არის შეპარული მასში. თუმცა შეცდომების დიდი უმრავლესობა გასწორებულია წიგნის ბოლოში, მაგრამ ეს გარემოება მაინც ნაკლად უნდა ჩაითვალოს.

2. კალენდარული ცნობები ვერ არის სრული და გამორჩენილი არის მასში ზოგიერთი საყურადღებო ფაქტები.

3. არა აქვს დართული სარჩევი.

4. ფასი (ერთი მანეთი) მოწაფისათვის საგრძნობლად დიდია.

შემდეგი გამოცემა, ვფიქრობთ, მოაწესრიგებს როგორც ფასის საკითხს, ისე გამოასწორებს იმ ნაკლებს, რომლებიც ეხლანდელ გამოცემას თან ახლავს.

„ბელა“.

გამომცემლობისაგან: ყველა აღნიშნული ნაკლი გამოსწორებული იქნება შემდეგ გამოცემაში.

ფასი ერთი მანეთი ძვირია ღარიბი მოწაფეებისათვის, მაგრამ ვინც უშუალოდ რედაქციიდან შეიძენს ან გამოიწერს „ამხანაგს“, დაეთმობათ 60 კაპიკად.

ი. ავალიშვილი. „ბალანსის ანალიზი“:

ანგარიშმცოდნეობაში ბალანსის კრიტიკის საკითხები სრულიად ახალ სამეცნიერო საკითხებს წარმოადგენს და ამიტომ ფრიად სასიამოვნო მოვლენად უნდა ჩაითვალოს ქართულ ენაზე იმისთანა წიგნის გამოსვლა, როგორიც არის „ბალანსის ანალიზი“ ამბ. ი. ავალიშვილისა.

ავტორს დამოუკიდებლობა ეტყობა და ზოგ შემთხვევაში ისეთ აზრებს გამოსთქვამს, რომ მცოდნე მკითხველის დიდ ყურადღებას იქცევს.

ბალანსის აქტივის თვით მთავარ ჯგუფებად დაყოფა თავისებურად აქვს მოყვანილი ავტორს და ამითი შეაქვს ცვლილებანი სხვა ავტორების მიერ აქტივის მთავარ ჯგუფებად დაყოფაში. იგი ჰყოფს აქტივს საბრუნავ და არა საბრუნავ საშუალებებად. სხვა ავტორები ჰყოფენ აქტივს საბრუნავ და ძირითად საშუალებებად. ავტორი არა-საბრუნავ საშუალებებში ათავსებს როგორც ძირითადს, ისე სხვა არა-საბრუნავ საშუალებებს, თუნდაც იგი ძირითადი არ იყოს, და ამითი ავტორი თავიდან იცდენს იმ უხერხულებას, რომელსაც სხვა ავტორები განიცდიან აქტივის დაყოფით საბრუნავად და ძირითადად, რის გამო იძულებულნი არიან მოათავსონ ძირითადში იმისთანა არა-საბრუნავი საშუალებანი, რომელთაც არავითარი კავშირი არ აქვთ ძირითადთან.

აქტივის მუხლების ურთ-ერთ დამოკიდებულებით განხილვის დროს ბევრს ცოცხალს აზრებს გამოსთქვამს ავტორი; მოკლედ, მარტივად და ცოცხალის ენით ასაბუთებს იგი იმისთანა საბალანსო პრინციპებს, რომელიც სხვა ავტორების მიერ ბუნდოვანობით მოცულია. აქტივის და პასივის მთავარ ჯგუფების შებრუნებითი პროპორციულობა იმდენად საყურადღებოა, რომ იგი საბოლოოდ სწყვეტს ბალანსის ლიკვიდობის საკითხს, მისი აზრით „რამდენადაც მეტი იქნება სხვისი საშუალებანი საკუთარზე, იმდენად არა-საბრუნავი ნაკლები უნდა იყოს საბრუნავზე, რათა ლიკვიდობა უზრუნველყოფილი იყოს“ (იხ. 43 გვ.). ეს პრინციპი საყურადღებოა იმ მხრივ, რომ იგი ბუნდოვანობას ფანტავს და მტკიცე ფარგლებში აყენებს და ერთმანეთთან აკავშირებს იმ შეფარდებებს, რომელიც არსებობს ცალკე აქტივის მთავარ ჯგუფებს შორის და ცალკე პასივის მთავარ ჯგუფებს შორის.

ავტორს მათემატიკური ელემენტებიც შეაქვს ზოგიერთ პრინციპების დასაბუთებაში და ამითი ეტყობა იზიარებს პროფესორების: შმალენბახის, შერის, რუდანოვსკის, კელნის და პიზონის აზრს, „რომ ანგარიშმცოდნეობაში ამომწურავი შრომა უნდა აშენებულ იქნას მათემატიკურ, უფლებრივ და სამეურნეო საფუძველზე“.

მათემატიკურად ასაბუთებს დავალიანებასა და დეფიციტს შორის დამოკიდებულობას. ასევე დასაბუთებულია მოგება-ზარალის რეალობა მოგება-ზარალის არსებობის პირობები და სხვ. ყველა ეს საკითხები დამოუკიდებლად დასაბუთებულია და ადვილად გასაგებია იმ მკითხველისათვის, რომელსაც ზოგად ანგარიშმცოდნეობაზე დაახლოვებითი წარმოდგენა აქვს. საბალანსო ოდენობათა შორის დამოკიდებულობა, რომელიც რუდანოვსკის გამორკვეული არა აქვს, ავტორს ოდენობათა ფუნქციული თვალსაზრისით სრულიად დამოუკიდებლად აქვს განვითარებული და დავალიანებასა და დეფიციტს შორის დამოკიდებულების მეთხებით დამტკიცებული აქვს დებულება მოგება-ზარალის რეალობის შესახებ.

ასე რომ ავტორი ამ მხრივ შემოქმედებით უნარს იჩენს.

წიგნში გარჩეულია გამოქვეყნებული ბალანსები და დართული აქვს ამოცანები მათი გადაწყვეტის თანდათანი სიძნელის მიხედვით.

უარყოფით მხარედ უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ წიგნის პირველ ნაწილში მოყვანილია ბალანს მცოდნეობის საფუძვლები ძალიან მოკლედ და ამათი თანდათანი განვითარება არა სჩანს.

აგრეთვე უარყოფითი მხარედ უნდა ჩაითვალოს ის, რომ წიგნის მეორე და მესამე ნაწილები ერთმანეთთან ნაკლებად დაკავშირებულია.

სხვა უარყოფითი მხარეები უმნიშვნელოა. ყველა ზემო მოყვანილი უარყოფითი მხარეები შედარებით დადებით მხარეებთან მცირეა და ამიტომ ეს წიგნი სრულიად თამამად დაიჭერს საპატიო და საამაყო ალაგს იმ წიგნთა შორის, რომელიც არსებობს ანგარიშმცოდნეობაში ქართულ ენაზე.

ლორეცი

პასუხისმგებელი რედაქტორი: ა. მიქაძე.

ი უ მ ო რ ი

ზამთრობით ზოგიერთ სკოლაში ადგილი აქვს ფიზიკის გათვალსაჩინოებას



...მაშასადამე, ბავშვებო, სიცივისაგან ყოველი სხეული იკუმშება...



თანამედროვე ტიპებიდან

„კომპლექსი-ზაცია“ ქმნილი მასწავლებელი მიდის სოფლად სამუშაოდ.

შ ი ნ ა ა რ ს ი

ᲒᲒ.

1. წითელი არმიის 10 წლის თავისათვის 1
2. თებერვლის 25 3
3. **ნ. ჭეიშვილი:** სოფლის მეურნეობის განმტკიცების სესხი და განათლების მუშაკნი 4

პროფესიონალური ცხოვრება

4. საქ. მეც. მუშაკთა I კონფერენცია 7
5. სრ. საქ. მეცნ. მუშაკთა I კონფერენციის სამანდატო კომისიის ცნობა 11
6. საქ. მეც. მუშაკთა I კონფ. რეზოლუციები 12

ადგილებიდან

7. ოზურგეთის მაზრის გან. მუშ. VII კონფ. 14
8. **ვან-დარი:** ხმა პროვინციიდან 19
9. **პ. ჭანიშვილი:** დესერტის შესახებ 20

ადგილკომების მუშაობა

10. ხეთა გვ. 23; 11. სიღნაღი 23

ტფ. სახელმწ. უნივერსიტეტის 10 წლის თავი

12. პროფ. კ. კეკელიძე: ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუშაობა. 26
13. კ. გოგობერიძე: პროფ.-კულტ. მუშაობა სახელმწ. უნივერსიტეტში . . 33
14. პროფ. ნ. ს. კახიანი 38

ახალი სკოლის საკითხები

15. **დონ-ან:** ქართული ენის სწავლებისათვის სკოლებში 39

თვითგანვითარებისათვის

16. **ი. კილაძე:** ბიბლიოთეკა და თვითგანვითარება 41

ბიბლიოგრაფია

17. მასწავლებლის კალენდარი-ცნობარი 44
18. „ამხანავი“ 45
19. **ი. ავალიშვილი:** „ბალანსის ანალიზი“ 46

იუმორი 47

გ ჯ0 მუ
1928

ფასი 40 კაპ.

გამოვიდა და იყიდება

ლიტერატურული საშრები

სახელმძღვანელო ლიტერატურული თემების, მოხსენებების და რეფერატებისათვის

მოკლე ლიტერატურული ლექსიკონით. შედგენილი **თ. ბეგიაშვილის მიერ.**

212 გვერდი ფასი 1 მანეთი და 20 კაპიკი.

მსურველებმა უნდა გამოიწერონ „განათლების მუშაკის“ რედაქციიდან და გაუგზავნით ჩვენი ხარჯით. შეიძლება ნახევარი ღირებულების ფასდადებითაც.



სტამბა „ზარია ვოსტოკა-“სი, წულუკიძის ქუჩა, № 4.

შეკვ. № 817 მთავლ. № 392 ტირაჟი 2500